ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა
ზღაპრები ტომი 3
ბრაზილიური ზღაპრები
6 ლარი

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 3
ბრაზილიური ზღაპრები



28 — 29 სექტემბერი, 2013 №230 (6231) ფასი: 30 თეთრი

## ვის გააძევებენ „ქართული ოცნებიდან“

გვ.6



## ნუგზარ წიკლაური: „სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობა ოკუპანტ ქვეყანასთან უთავმოყვარეო ლაქუცად ჩაითვლება“

გვ.3



## ნანა კაკაბაძე: „პროკურატურა სასაცილო მდგომარეობაშია“

ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა არ უნდა

გვ.5

## გაწევ-გამოწევა თბილისის საკრებულოში

გვ.6



## ირაკლი ალასანია: „ჩვენ ყველა ხვრელს ამოვავსებთ, რაც ბირთვულ, ქიმიურ იარაღს ეხება“

გვ.4





## კოტე კუბლაშვილი: „მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით არჩევა დაუშვებელია“

გვ.4

ISSN 1987-9385



## „საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის არსებობა დაუშვებელია“

გვ.2

## ამირან შალიკაშვილი: „მომეცით თეატრი!“

გვ.7



## „საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის არსებობა დაუშვებელია“



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, რომელიც მან ლიტვის ნაციონალური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა, საქართველოსთვის, ადმინისტრაციული საზღვრის დემარკაცია მიუღებელია. მისივე თქმით, ასევე დაუშვებელია საქართველოს ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის არსებობა.

„ჩვენ ერთი ქვეყანა გვაქვს და მას საქართველო ჰქვია. ასე რომ, თუ ვინმე ამის გაკეთებას გადაწყვეტს, ეს ჩვენთვის უკანონო და აბსოლუტურად მიუღებელი იქნება. საჯაროდ მსურს ხაზი გავუსვა, რომ მსგავსი ქმედება ჩვენთვის მიუღებელია“, — აღნიშნა მინისტრმა.

ნიუსპრესი

## პოლიციამ ორი ადამიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა, რუსთავში, სხვადასხვა დანაშაულებისთვის ძებნილი, 1965 წელს დაბადებული დავით ტ. დააკავეს. აღნიშნული პიროვნება 2000 წლის 26 აგვისტოდან თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს მიერ, სსსკ-ის 108-ე, 109-ე და 236-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის — ორი მოქალაქის განზრახ მკვლელობის, ერთი მოქალაქის მკვლელობის მცდელობისთვის და ასევე, იარაღის უკანონო ტარებისთვის იძებნებოდა.

მოკლულებიც და ის პირიც, ვისი მოკვლაც დავით ტ.-მ სცადა, მასთან კომერციული საქმიანობით იყვნენ დაკავშირებული. ამჟამად დაკავებული სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაშია გადაყვანილი. გამოძიება განზრახ მკვლელობის, მკვლელობის მცდელობისა და იარაღის უკანონო ტარების ფაქტზე, სსსკ-ის 108-ე,109-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## ილია II: „ეკლის ხლართების და ბეტონის ღობეების აშენების მცდელობა ამაოა“



საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით სამების საკათედრო ტაძარში გუშინ საზეიმო წირვა აღავლინა.

გუშინვე, პატრიარქმა აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენებიდან 20 წლისთავთან დაკავშირებით დაწერილი ხატი აკურთხა და ომში დაღუპულთა სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა.

უწმინდესის განცხადებით, რომელიც მან მრევლთან მიმართვისას გააკეთა, აფხაზეთის ომს გამარჯვებული არ ჰყავს.

„დღეს სოხუმის და აფხაზეთის დაცემის დღეს აღვნიშნავთ. არავინ არის ამ ომში გამარჯვებული, ყველა წაგებულია, საქართველოც, აფხაზეთიც, რუსეთიც და ყველა, ვინც ამ საშინელ ტრაგედიაში მონაწილეობდა.

ზოგიერთი დღესაც ცდილობს, რომ აფხაზეთსა და საქართველოს, ან ოსებსა და საქართველოს შორის ეკლის ხლართები და ბეტონის ღობეები ააშენოს. მაგრამ ეს ყველაფერი ამაოა“ — განაცხადა ილია II-მ.

ნიუსპრესი

## შს მინისტრმა ლიტვა-ბელარუსის საზღვართან მედინინკაის მემორიალი გვირგვინით შეამკო

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ლიტვა-ბელარუსის საზღვართან მედინინკაის მემორიალი გვირგვინით შეამკო და დაღუპული ლიტველი მესაზღვრეების ხსოვნას პატივი მიაგო. მედინინკაის სასაზღვრო პუნქტს, 1991 წლის 31 ივლისს, თავს საბჭოთა კავშირის სპეციალური დანიშნულების რაზმი დაესხა, რის შედეგად შვიდი ლიტველი მესაზღვრე დაიღუპა.

ამ ღონისძიებით საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ბალტიისპირეთის ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტი დაასრულა და ბელარუსის რესპუბლიკაში გაემგზავრა, სადაც მის კოლეგასგან — ბელარუსის შს მინისტრთანაა დაგეგმილი შეხვედრა. ვიზიტის ფარგლებში, საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა

მინისტრები ხელს მოაწერენ „საქართველოს მთავრობასა და ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობას შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დასადებად აუცილებელი პროცედურების განხორციელების თაობაზე“ ერთობლივ განცხადებას. შინაგან საქმეთა მინისტრის ვიზიტი ბელარუსის რესპუბლიკაში 28 სექტემბერს დასრულდება.

„წინა ხელისუფლების დროს შსს-დან წელიწადში 3-4 ათას ადამიანს ათავისუფლებდნენ“

ლიტვის ნაციონალურ ტელევიზიასთან ინტერვიუში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, საქართველოში მასიური საკადრო წმენდა განხორციელდა.

მინისტრის თქმით, მსგავსი ქმედება ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სწორედ მიხეილ სააკაშვილმა განახორციელა.

„სააკაშვილის მთავრობამ, როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა, 50 ათასი

ადამიანი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან. მათ 40 ათასზე მეტი პოლიციის თანამშრომელი გაათავისუფლეს სამსახურებიდან და ათასობით ადამიანი ციხეში ჩასვეს. მე გეტყვით მაგალითს,რომ შს სამინისტრო, წინა ხელისუფლების დროს ყოველწლიურად 3000-4000 ადამიანს უშვებდა სამსახურიდან, თუმცა ამის შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ ყველაფერი დამალული და კონტროლირებადი იყო. მედია კონტროლდებოდა, ახლა კი ყველაფერი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. შეიძლება ვინმეს უშვებენ სამსახურიდან, ვიღაც პენსიაზე გადის, ზოგი თანამდებობიდან თავისი სურვილით მიდის — ეს ნორმალური პროცესია. ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები აღარ არსებობს. აუცილებელია, რომ მიმდინარე პროცესებზე სწორი ინფორმაცია გქონდეთ. შემიძლია გითხრათ, რომ წინა მთავრობას კარგად გამოსდის „პიარი“ და სწორედ ესაა მიზეზი, რატომაც გაქვთ თქვენ არასწორი ინფორმაცია. იმედი მაქვს, რომ ეს აუცილებლად გამოსწორდება. აუცილებელია თქვენი ქვეყნის მთავრობასთან მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნება და ამიტომაც არის ასეთი მნიშვნელოვანი თანამშრომლობა ჩემს კოლეგასთან. ლიტვა და ლიტველი ხალხი

ჩვენი მეგობრები არიან და სწორედ ესაა მნიშვნელოვანი“ — განაცხადა მინისტრმა ინტერვიუში.

ნიუსპრესი

## ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენი ქვეყნის ისტორიაში 27 სექტემბერი დიდი ტრაგედიაა“



სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო. პრემიერის თქმით ეს დღე ქვეყნის ისტორიაში დიდი ტრაგედიაა.

„20 წელი გავიდა ამ ტრაგიკული თარიღიდან. 1993 წლის 27 სექტემბერი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დიდი ტრაგედია იყო. ეს დღე ომის დამღუპველ შედეგებს, ნგრევას, დევნას და უსახლკარობას გვახსენებს. უდიდესი დანაკლისი განვიცადეთ ამ ომში ქართველებმა და აფხაზებმა. სამწუხაროდ, დაღუპულებს ვერავინ დაგვიბრუნებს და ამ დიდ დანაკლისს ვერ აგვინაზღაურებს.

ძალიან მძიმეა დევნილი მოსახლეობის ხვედრი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ, რომ მათ ქვეყანაში ღირსეული ცხოვრება შეეძლოთ და საზოგადოებაში ღირსეული ინტეგრაცია მოახდინონ. ხელისუფლება მანამ გააგრძელებს დახმარებას, სანამ ისინი საკუთარ სახლ-კარს არ დაუბრუნდებიან“— განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ნიუსპრესი

## ნინო ბურჯანაძე: „ჩვენ ჩვენი გმირების წინაშე ვალში ვართ“



სოხუმის დაცემის ტრაგიკულ დღესთან დაკავშირებით „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, პარტიის წევრებთან და „სახალხო კრების“ აღმასრულებელ საბჭოსთან ერთად, გმირთა მოედანზე, აფხაზეთის ომში დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და დაღუპულ გმირთა ოჯახებს მიუსამძიმრა.

ნინო ბურჯანაძის თქმით, ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მართლაც აღდგეს ხიდები აფხაზებსა და ქართველებს შორის, ასევე ოსებსა და ქართველებს შორის.

„დღეს არის ძალიან ტრაგიკული დღე საქართველოს ისტორიაში. მე უპირველეს ყოვლისა, ვუსამძიმრებ სრულიად საქართველოს, ვუსამძიმრებ ყველა იმ ადამიანს, რომელთა შვილებიც გმირულად დაიღუპნენ აფხაზეთში. მე მართლაც საოცარი მაგალითი ვნახე გმირთა სასაფლაოზე, როცა ქართველ დედებს თავიანთი შვილების გვერდით აფხაზი ბიჭების სურათები ედოთ. მე მინდა, რომ ყველა დედას, ქართველსაც და აფხაზსაც, მივუსამძიმრო დღევანდელი დღე და ვთქვა, რომ საქართველოში აღარასოდეს აღარ უნდა განმეორდეს ძმათამკვლელი ომი, ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ ვაპატიოთ ერთმანეთს, უნდა შევძლოთ, რომ გადავდგათ ერთმანეთის მიმართულებით ნაბიჯები და მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ მართლაც აღდგეს ხიდები აფხაზებსა და ქართველებს შორის, ოსებსა და ქართველებს შორის. აღარასოდეს უნდა განმეორდეს ის ტრაგიკული დღეები, რაც ჩვენ გადავიტანეთ და ერთმანეთის გვერდით ღირსეულად ცხოვრება უნდა შევძლოთ, ისევე როგორც საუკუნეების განმავლობაში ვცხოვრობდით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამას გონივრული ნაბიჯებით აუცილებლად მივაღწევთ. კიდევ ერთხელ ქედს ვიხრი ყველა დაღუპული გმირის წინაშე. ჩვენ მათ წინაშე ვართ ვალში და საქართველოს არასოდეს უნდა დაავიწყდეს თავისი ღირსეული შვილები“ — განაცხადა ბურჯანაძემ.

მანვე კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ დღეს არცერთ სხვა თემასთან დაკავშირებით კომენტარს არ გააკეთებს, რადგან ამ ტრაგიკულ თარიღთან დაკავშირებით საარჩევნო კამპანია ერთი დღით შეჩერებულია.

გმირთა მემორიალის შემდეგ საპრეზიდენტო კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ ჟიული შარტავას საფლავიც მოინახულა.

ნიუსპრესი

## ირაკლი ღარიბაშვილი: „მინისტრის თანამდებობა იმუნიტეტი არაა“

„როდესაც ჩვენს შემდეგ ახალი მთავრობა მოვა და თუ გაირკვა, რომ მინისტრობისას დანაშაული ჩავიდინე, — როგორ უნდა მოიქცნენ? რა თქმა უნდა ჩემს საქციელზე მე პასუხი უნდა ვაგო და ეს სრულიად მისაღებია“ — ეს განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ლიტვის ნაციონალური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

მინისტრის თქმით, მაშინ როდესაც დანაშაულისთვის ჩვეულებრივი მოქალაქე ციხეში ხვდება, პრივილეგირებული არც მინისტრი უნდა იყოს.

„რა განსხვავებაა ჩვეულებრივ მოქალაქესა და მინისტრს შორის? მცირე დანაშაულებისთვის ჩვეულებრივი მოქალაქე აუცილებლად ციხეში მოხვდება და იგივე დანაშაულებისთვის რატომ უნდა ვიყო პირადად მე პრივილეგირებული? იმიტომ, რომ თანამდებობა მიკავია? ეს არაა სამართლიანი და სწორი. ჩვენ ასეთ ქვეყანას არ ვაშენებთ. ჩვენ ჭეშმარიტად დემოკრატიული ქვეყანა გვინდა ავაშენოთ“ — განაცხადა მინისტრმა.

ნიუსპრესი

## ცეზარ ჩოჩელი: „მაიძულებდნენ, ვანო მერაბიშვილზე რამე მეთქვა“



მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის განცხადებით, რომელიც მან გუშინ ეკონომიკური მიმართულების ექსპერტებთან შეხვედრისას გააკეთა, ვანო მერაბიშვილს დაჭერამდე მას მოსთხოვეს, რომ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისთვის ცილი დაეწამა და მასზე ტყუილები ელაპარაკა.

„სანამ ვანო მერაბიშვილის დაკავება მოხდებოდა, პირდაპირ მომთხოვეს, რომ მასზე რამე მეთქვა, მაგრამ ამაზე არ წავედი, რადგან მე წესიერებას ვერ ვხედავ იმაში, რომ ადამიანზე ტყუილი ვთქვა და მას ცილი დასწამო“ — განაცხადა ჩოჩელმა.

ცეზარ ჩოჩელს არ დაუკონკრეტებია თუ რომელი უწყება აწარმოებდა მასზე კონკრეტულად ზეწოლას. შეგახსენებთ, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა წუხელ, ცეზარ ჩოჩელის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 5 საწარმო დააყადაღა.

ნიუსპრესი

## თბილისში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა



თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1977 წელს დაბადებული არტურ ს., განზრახ მკვლელობის ბრალდებით მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი დაკავებული თბილისში, ყვარლის ქუჩაზე, ყოფილ მეუღლეს ეჭვიანობის ნიადაგზე სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ჩხუბში იქვე მცხოვრები, 1977 წელს დაბადებული გიორგი გაბროშვილი ჩაერთო, რომელსაც ურთიერთშელაპარაკებისას არტურ ს.-მ ცივი იარაღით გულმკერდის არეში ერთი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნუგზარ წიკლაური: „სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობა ოკუპანტ ქვეყანასთან უთავმოყვარეო ლაქუცად ჩაითვლება“

შორენა მარსაგიშვილი

**პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე ბოლო ხანებში აქტიურად მართავს მოლაპარაკებებს გრიგორი კარასინთან. ამ მოლაპარაკებებისგან ერთ დიდ შედეგს ისედაც არ ელოდა, მაგრამ არც ის გვეგონა, თუ კრება ასეთი მხიარული დარჩებოდა.**

ყველამ რატომღაც ჩათვალა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რუსეთი საქართველოს მიმართ დამოკიდებულებას შეცვლიდა. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. რუსეთი ჩვეულ პოლიტიკას აგრძელებს. რუსი სამხედროები გორისა და ქარელის სოფლებში მავთულხლართებს ავლებენ და ყოველდღიურად რამდენიმე ასეულ მეტრ მიწას გვაჭრიან.

ჩვენი ხელისუფლება ამ ყველაფერს მშვიდად უყურებს. გვარწმუნებენ, რუსები ჩვენს მოთმინებას ცდიან და ყველაფერი სოჭის ოლიმპიადის შემდეგ მორჩებაო. სოჭის ოლიმპიადა რამდენიმე თვეში ჩატარდება. თუ ასეთი ტემპებით გააგრძელეს რუსებმა ჩვენი მიწების მითვისება, ოლიმპიადისთვის შესაძლოა თბილისშიც ჩამოვიდნენ. ხელისუფლება კი დაგვამშვიდებს და გვეტყვის, გაგებით მოეკიდეთო.

საპარლამენტო უმრავლესობა მართლაც გაგებით ეკიდება მცოცავ ანექსიას. ნაციონალები შეშფოთებულ სახეს იღებენ და ოცნებას გმობენ. ამ დროს ავიწყდებათ, რომ უმრავლესობაში ყოფნის დროს თავადაც გაგებით ეკიდებოდნენ მცოცავ ანექსიას.

თავიანთი შეშფოთება ნაციონალებმა გუშინ პარლამენტში დააფიქსირეს. პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა დროებითი კომისიის, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე გუშინ დეპუტატებმა პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძეს მოუსმინეს. დეპუტატებს აინტერესებდათ როგორ მიმდინარეობს რუსეთთან მოლაპარაკებები.

გაერთიანებულ სხდომაზე ზურაბ აბაშიძემ ძირითადად რუსეთთან სავაჭრო და ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ-კულტურულ ურთიერთობაზე, ასევე, სატრანსპორტო კავშირების და საჰაერო მიმოსვლის აღდგენაზეც ისაუბრა. პრემიერის სპეცწარმომადგენლის თქმით, ამ მიმართულებით შედეგი აშკარად არის.

— ბუნებრივია, კითხვები იბადება იმასთან დაკავშირებით, რაც ხდება საოკუპაციო ზოლთან. რუსეთის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე მე ყოველთვის ხაზგასმით ვაფიქსირებ საქართველოს მთავრობის პოზიციას, უაღრესად კრიტიკულ პოზიციას, გამოვთქვამთ შეშფოთებას, მაგრამ ამ თემების განხილვა უფრო დეტალურად ხდება ჟენევაში, სადაც ამ პრობლემებისთვის შექმნილია სპეციალური საერთაშორისო ფორმატი. ეს ჩვენმა დეპუტატებმაც კარგად იციან და, მგონი, განსაკუთრებულად გაურკვეველი არაფერი დარჩა. რაც შეეხება რუსეთის ბაზარს, აქ ვერანაირ გაუგებრობას და დიდ კოლიზიას ვერ ვხედავ. ჩვენ გავხსენით რუსული ბაზარი, რომელიც 2006 წლის ემბარგოს შემდეგ დაიხურა. ახლა დიდი ძალისხმევით, უამრავი სირთულის, პრობლემის მოგვარების შედეგად ეს ბაზარი გაიხსნა და ჩვენი პროდუქცია რუსულ ბაზარზე შევიდა. ჩვენმა მეწარმეებმა პოლიტიკოსებზე კარგად იციან ეს ბაზარი. იციან, რომ გარკვეული რისკის მატარებელია. ჩვენ არავის მოვუწოდებთ იქითკენ, რომ გინდათ თუ არა დაბრუნდით რუსულ ბაზარზე, არც არავის ხელს არ ვუშლით და არ ვიჭერთ. ეს ცალკეული კომპანიების გადასაწყვეტია. კარი ღიაა და მათ უნდა გადაწყვიტონ, უნდათ თუ არა ამ კარში შესვლა. როგორც ვხედავთ, ინტერესი არის. ღვინის ძალიან დიდი მარაგი შევიდა რუსულ ბაზარზე, სატრანსპორტო კომპანიები არიან ძალიან დაინტერესებული, — განაცხადა აბაშიძემ.



ივანიშვილის სპეციალურმა წარმომადგენელმა საჰაერო მიმოსვლაზეც ისაუბრა. მისი განმარტებით, ქართულ ავიაკომპანიებს რუსეთის სანავიგაციო სამსახურების დავალიანება აქვთ. გაირკვა ისიც, რომ ამ ვალებს დიდი ხნის ისტორია აქვთ.

— დავალიანება 90-იანი წლებიდან მოდის. როგორც რუსეთის მხარე გვეუბნება და ეს მართლაც წააგავს სიმართლეს, იმ კომპანიებს სანავიგაციო სამსახურების მიმართ დაუგროვდათ რაღაც ვალები. დღეისათვის აღარ არსებობს ეს კომპანიები, მაგრამ ვალი დარჩა. ვინ უნდა გადაიხადოს ეს ვალი? ამიტომ, ახლა ამაზე მიდის მუშაობა, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს და რეგულარული რეისები აღდგეს. ეს ხელს შეუწყობს ტურისტების ზრდას, ეკონომიკურადაც უფრო საინტერესოა. ეს, ალბათ, ავიაბილეთების ფასის დაწევასაც გამოიწვევს, — ამბობს აბაშიძე.

ზურაბ აბაშიძემ, ბუნებრივია, რუსი სამხედროების ქმედებების შეფასებასაც ვერ აუარა გვერდი. აბაშიძის მტკიცებით, არც ეს არის ახლა დაწყებული პროცესი.

— რუსი ჯარისკაცების მიერ საოკუპაციო ზოლთან მავთულხლართების გავლების პროცესი ახლა არ დაწყებულა. ეს პროცესი 2009 წელს დაიწყო: ეს არის 2008 წლის შედეგი. ეს გუშინ არ დაწყებულა. ეს არის მიზანმიმართულად წარმოებული პროცესი, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. ეს არის საერთაშორისო ნორმების, სამართლის, ჰუმანიტარული ნორმების დარღვევა და ჩვენ ამას არასდროს შევეგუებით, — დაამშვიდა მან დეპუტატები.

საქართველოს საოცნებო ხელისუფლებამ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა. ნაციონალები ამას დიდ შეცდომად მიიჩნევენ. მათი მტკიცებით, სოჭში ქართველი სპორტსმენების გამოსვლის შემდეგ რამდენიმე ქვეყანა აფხაზეთსა და სამაჩაბლოს აღიარებს.

ცოტა ხნის წინ ნაცმოძმა ახალი განგაში ატეხა. მათი მტკიცებით, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი სოჭის ოლიმპიადაზე, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნები, ისე მიიღებენ მონაწილეობას.

ეს მეოცნებეებმა კატეგორიულად უარყვეს. ზურაბ აბაშიძის თქმით, სოჭის ოლიმპიადაში აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის მონაწილეობის შანსიც არსებობს.

— სოჭის ოლიმპიადაში ჩვენი მონაწილეობა მარტივი გადაწყვეტილება არ იყო. ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო ეს გადაწყვეტილება, რაც სწორია. ჩვენი მონაწილეობა უსაფრთხოების თემებთან არის დაკავშირებული და იმის რისკს ამცირებს, რომ თუ იქ რაიმე უბედურება მოხდება, საქართველოს დააბრალონ, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ადრე თუ ჩრდილო კავკასიაში რაიმე მოხდებოდა, ხელს მაშინვე საქართველოსკენ იშვერდნენ, — ამბობს აბაშიძე.

დეპუტატებთან შეხვედრით ზურაბ აბაშიძე კმაყოფილი იყო. მისი თქმით, ასეთი შეხვედრები საჭირო და აუცილებელია.

— ძალიან სასარგებლო შეხვედრა იყო. აუცილებელია, რომ პარლამენტი იყოს საქმის კურსში ასეთი სერიოზული საკითხების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია რუსეთთან დიალოგთან. მე აქ მესამედ ვარ უკვე. თუ დიალოგი გაგრძელდება, მე მზად ვარ, კიდევ ჩამოვიდე პარლამენტში და საქმის კურსში ჩავაყენო დეპუტატები, ჩვენი საზოგადოება, მედია. ჩვენი თხოვნაა პარლამენტარების მიმართ, რომ თუ აქვთ საინტერესო მოსაზრებები, წინადადებები, იდეები იმის თაობაზე, შემდეგ ეტაპზე რუსეთთან დიალოგის დროს რა განვიხილოთ, ძალიან მადლობელი ვიქნები. ძალიან საინტერესო კითხვებიც იყო, კრიტიკული კითხვებიც იყო, — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

შეხვედრით კმაყოფილი დარჩა საპარლამენტო უმრავლესობაც. სამაგიეროდ, უმცირესობა დარჩა უკმაყოფილო. ნუგზარ წიკლაური იმით არის უკმაყოფილო, რომ აბაშიძემ მავთულხლართების გავლება ნაციონალებს დაუკავშირა.

— საქართველო-რუსეთის ურთიერთობების დრამატული, ტრაგიკული ილუსტრაცია სწორედ ის მავთულხლართებია, რომელიც ახლა იქნა გაბმული რუსეთის მხრიდან. ზურაბ აბაშიძემ გამოსვლისას გააკეთა ერთგვარი მინიშნება, რომ ეს პროცესი ცოტა ადრე დაიწყო, 2009 წელს ჩაეყარა საფუძველი და ამას რაღაც პოლიტიკური ქვეტექსტიც ჰქონდა. მაგრამ, მე, პირადად, ნამდვილად არ ვცდილობ, დავადანაშაულო დღევანდელი ხელისუფლება, რომ იქ მავთულხლართები აღიმართა. ეს არის ოკუპანტების გაკეთებული და ჩვენ მთავარ დამნაშავედ, რა თქმა უნდა, მიგვაჩნია რუსეთი. ამასთან, ჩემი მხრიდან არ იქნება პატიოსანი საქციელი, არ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება იმ ფუნდამენტური შეცდომების გამო, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში გააკეთა ხელისუფლებამ. შეცდომა იყო ახალი მთავრობის პოზიცია, რომ რუსეთის საერთაშორისო ასპარეზზე კრიტიკის შესუსტება რაღაც ახალ ურთიერთობებს გააღვივებდა ორ ქვეყანას შორის. საქართველოს დადანაშაულება ომის დაწყებაში იყო ფუნდამენტური და უპატიებელი ხასიათის შეცდომა. აგენტების გამოშვება ასევე იყო ფუნდამენტური და უმძიმესი შეცდომა. საგარეო კურსზე მერყეობა, ხან რაღაც არმენიზაციაზე ლაპარაკი, ხან ევრაზიული კავშირის უადგილოდ მოტანა პრემიერის გამოსვლებში — ესეც აზიანებდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. ის პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა ერთი წლის განმავლობაში, ამას არ ვამბობ ნიშნის მოგებით, ამას ვამბობ გულწრფელად, მარცხით დასრულდა და ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, ჩვენი საგარეო პოლიტიკური მიდგომების გადახედვაზე, — განაცხადა აღშფოთებულმა წიკლაურმა.

დეპუტატმა სოჭის ოლიმპიადა კიდევ ერთხელ დაგმო. მისი მტკიცებით, დასავლეთი ვერ გაიგებს, რატომ ვმონაწილეობთ ამ ოლიმპიადაში.

— სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობა ოკუპანტ ქვეყანასთან უთავმოყვარეო ლაქუცად ჩაითვლება. ქართველი ოლიმპიელების გავლა რუსეთის კაგებეს ოფიცრისა და ქართველების მკვლელის წინ უდიდესი შეურაცხყოფაა როგორც გარდაცვლილების, ასევე იმ ასობით ათასი ადამიანის, რომელიც დღეს აფხაზეთში თავიანთ სახლებს ვერ უბრუნდება. მე კარგად მახსოვს, 20 წლის წინ როგორ ჩამოვიდა დამცირებულ და დანგრეულ საქართველოში გრაჩოვი და როგორ მონათლეს აქ ჩვენებმა. ეს იყო მართლა ღირსების აყრა ჩვენი ქვეყნისთვის. ასევე იქნება სოჭის ოლიმპიადაზე ჩვენი მონაწილეობა და ჩაითვლება უთავმოყვარეო სერვილიზმად, უთავმოყვარეო ლაქუცად ოკუპანტ ქვეყანასთან, რაც მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებისთვის არ იქნება კარგი და სახარბიელო, — განაცხადა წიკლაურმა.

აბაშიძეს პასუხებმა კიდევ ერთი ნაციონალი დეპუტატი აკაკი მინაშვილი იმედგაცრუებული დატოვა. მისი თქმით, ზურაბ აბაშიძემ ოპოზიციის არც ერთ კითხვას არ გასცა პასუხი.

— იმედგაცრუებამ მოლოდინს გადააჭარბა მაშინ, როცა ხდება ოკუპაციისა და აგრესიის გაგრძელება, ზურა აბაშიძე საუბრობს კულტურულ ურთიერთობაზე, ვაჭრობაზე, სინამდვილეში არავითარი ვაჭრობის აღდგენა არ მოხდება, გვახსოვს მოლდავეთის მაგალითი, უკრაინის მაგალითი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო სავაჭრო ურთიერთობები, მაგრამ დღეს ორივე მიმართულებით ხდება ემბარგოს დაწესება რუსეთის მხრიდან. რუსეთი ამას იყენებს დასავლეთთან სალაპარაკოდ, რომ აი, ჩვენს შორის დიალოგია და თქვენი ჩარევა დიალოგში საჭირო არ არის, რასაც შემდეგ იყენებს „ქართული ოცნება“ ძალიან წარმატებულად იმისათვის, რომ როგორმე დასავლური სამყარო გაიყვანოს ევროპულ დიალოგში, ევროპული დიალოგი ძალიან წარმატებულია საქართველოსთვის და ზურაბ აბაშიძეც აღიარებს ამას. ჩემთვის გაუგებარია, კონკრეტულად რა მიზანს ემსახურება ეს დიალოგი, — განაცხადა მინაშვილმა.

უკმაყოფილო გახლავთ ჩიორა თაქთაქიშვილიც. მისი თქმით, აბაშიძესთან შეხვედრისას გამოჩნდა რომ ვითარება მძიმეა.

— შეხვედრამ დაადასტურა, რომ მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ხელისუფლება არ ინტერესდება დევნილების დაბრუნების თემით ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საზღვრებზე, მავთულხლართები მაშინ ივლება, როცა ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობებს, წარმატებულად აფასებს: ძალიან მძიმეა მდგომარეობა, დღევანდელმა შეხვედრამ ეს დაადასტურა. მაშინ როცა რუსეთის წარმომადგენელი არ ინტერესდება დევნილების დაბრუნების საკითხით. ასევე მას არ აქვს კონკრეტული პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ მავთულხლართების გავლება მოხდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ხელისუფლება წარმატებულად აფასებდა თავის ურთიერთობას რუსეთთან. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება ვერ აცნობიერებს თავისი პოლიტიკის სავალალო და ტრაგიკულ შედეგებს, რომელიც პოლიტიკის ცვლილების შემდეგ დადგა. რუსეთმა „დვანში“, „დიცში“ გაავლო მავთულხლართები, ადამიანები შლიან სახლებს, რომელიც ექცევა ოკუპირებული ტერიტორიების ფარგლებში, — განაცხადა თაქთაქიშვილმა.

კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა, რომ რომ კარასინთან 5 ივნისის შეხვედრის შემდეგ აბაშიძემ 11 ივნისს დაბადების დღე აღნიშნა კვიპროსზე, ლიმასოლში, ევგენი პრიმაკოვის აგარაკზე, პრიმაკოვისა და სხვა რუსი მაღალჩინოსნების გარემოცვაში.

საპასუხოდ ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ ის 11-ში არა, მაგრამ მოგვიანებით ლიმასოლში ნამდვილად იმყოფებოდა.

— ჩემი ბავშვობის მეგობარს, ძალიან ცნობილ კარდიოლოგ დავით იოსელიანს აქვს იქ ბინა. დაგვპატიჟა მეუღლესთან ერთად და ეს ამბავი ვიზეიმეთ. ნამდვილად, იქვე ახლოს ბინა აქვს პრიმაკოვს. მე მას კარგად ვიცნობ, მაქვს დიდი ხნის ურთიერთობა და კარგად ვიცნობ არა მხოლოდ ბატონ პრიმაკოვს, არამედ უამრავ ხალხს მოსკოვში. სხვა მაღალჩინოსნები ამას არ ესწრებოდნენ. ეს იყო ჩემი პირადი მგზავრობა, ერთი ლარი არ ამიღია ბიუჯეტიდან. კიდევ უკეთესს გეტყვით, დავით იოსელიანს ხვალ 70 წელი უსრულდება, პურმარილი აქვს მოსკოვში. 50 წელია, ამ კაცს ვიცნობ, გადაყოლილია ჩემზე, არის ჩემი მკურნალი ექიმი და იმის გამო, რომ ასეთი კითხვა არ დამისვან, ერთი დღითაც კი ვერ მივდივარ მოსკოვში. გავუშვი ცოლი, როგორც ოჯახის წარმომადგენელი. ხალხო, მეტი ნდობა უნდა იყოს ერთმანეთთან! ჩემი თხოვნაა, რომ მეტი ნდობა იყოს, — განაცხადა აბაშიძემ.

27 სექტემბერს გამართული შეხვედრით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეოცნებეები კმაყოფილნი დარჩნენ. მათ ნაციონალების აღშფოთების მიზეზებიც კი არ ესმით. პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე გია ვოლსკი ამბობს, რომ უმცირესობას ყველაფრის კრიტიკის სტილი აქვს.

— არის მოსაზრებები და შეხედულებები მათი მხრიდან, რომელიც აბსოლუტურად რეალობას არ შეესაბამება. მაგრამ მაინც ამ პოლიტიკურ მცდელობებში გამოიკვეთა რამდენიმე აუცილებელი შეკითხვა, რომელიც მნიშვნელოვანია სტრატეგიის დაგეგმვის დროს და უნდა გაითვალისწინოთ. საინტერესო იყო ბატონი ზურაბის მოხსენება როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ თემებზე. ჭიდილი უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ეს პარლამენტია და მაგისია. სამწუხაროდ, არის არაკონსტრუქციული მოსაზრებები და ზოგჯერ სასაცილოც კი, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

# ირაკლი ალასანია: „ჩვენ ყველა ხვრელს ამოვავსებთ, რაც ბირთვულ, ქიმიურ იარაღს ეხება“

ნათია ხურცილავა

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა სასტუმრო „რედისონში“ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმში მიიღო მონაწილეობა. სიმპოზიუმის მონაწილეებს ბიძინა ივანიშვილმა სიტყვით მიმართა.

გუშინ გამართული ღონისძიება, რომელსაც თავდაცვისა და სახელმწიფო მინისტრი ევროინტეგრაციის საკითხებში ესწრებოდნენ, სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე კონტროლის გამკაცრებას ეხებოდა.

ივანიშვილის თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით კანონპროექტი შეიმუშავა, რომელიც პარლამენტის წინაშე უკვე წარდგენილია.

პარლამენტმა აღნიშნული კანონპროექტი პირველი მოსმენით უკვე მიიღო.

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, ამ კანონპროექტისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხის მიღებით საქართველო 2013 წლის ნატოს წლიური ეროვნული პროგრამით აღებულ ვალდებულებებს შეასრულებს.

გარდა ამისა, საქართველო აგრეთვე შეასრულებს 2004 წლის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციასა და ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებულ პუნქტებს.

— ჩვენ რეალისტები ვართ და კარგად გვესმის, რომ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია ეტაპობრივი პროცესია. ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვებით და ვასრულებთ ვალდებულებს, — აღნიშნავს ივანიშვილი.

მისივე თქმით, საქართველოს ახალ მთავრობას გაცხადებული აქვს ქვეყნის საშინაო და საგარეო პრიორიტეტები, რაც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტუქტურებში ინტეგრაციას ისახავს მიზნად, შესაბამისად, როგორც პრემიერი დასძენს, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში რეფორმების გატარებაა დაგეგმილი.

— ამ მიმართულებით საქართველო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს და ეს პროცესი შეუქცევადია, — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილი ამბობს, რომ ამ მიმართულებით აქტიური პოლიტიკის გატარების პროცესში ამერიკელი და ევროპელი მეგობრების მხარდაჭერას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მისივე თქმით, საქართველოს დღეს, ისე როგორც არასდროს, სჭირდება ამერიკელი და ევროპელი მეგობრების მხარდაჭერა.

— ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს, რომ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ არჩევანს ხორცი შეასხას, — ამბობს პრემიერი.

— მისასალმებელი და საპატიოა ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს თაოსნობით საქართველოში ტარდება სიმპოზიუმი, რომელიც ეხება ევროკავშირთან თანამშრომლობას სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის სფეროში. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ დღეს შესაძლებლობა გვაქვს ერთად განვიხილოთ ჩვენი ქვეყნისა და საერთო ევროპული უსაფრთხოებისთვის აქტუალური საკითხები. პირველ რიგში, მადლობას მოგახსენებთ იმ მტკიცე და თანამიმდევრული მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყნები უწევენ საქართველოს დემოკრატიული განვითარებისკენ მიმავალ გზაზე. საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის, რადგან მხოლოდ ამ გზით, მხოლოდ საერთო ძალისხმევით შეგვიძლია, მივაღწიოთ პოზიტიურ ცვლილებებს რეგიონში. ჩვენი ამოცანაა, განვამტკიცოთ მშვიდობა, გზა გავუხსნათ მდგრად დემოკრატიულ განვითარებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში და შევძლოთ იმ უდიდესი პოტენციალის სრულად გამოყენება, რომელიც ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონს აქვს. ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებისა და დემოკრატიული განვითარების გზაზე ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას ალტერნატივა არა აქვს, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.



პრემიერი ამბობს, რომ საქართველოს მოქალაქეებს კარგად ესმით, რომ ევროპულ და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას ალტერნატივა არა აქვს.

— ჩვენს ხალხს კარგად ესმის, რომ ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია არის ის ერთადერთი გზა, რომელიც ევროპული დემოკრატიის ჩამოყალიბების შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას. ჩვენი ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს, რომ საქართველოს ამ არჩევანს ხორცი შეესხას, რათა შენარჩუნდეს ევროკავშირსა და ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის პოზიტიური დინამიკა. საქართველო განაგრძობს ამ მიმართულებით აქტიური პოლიტიკის გატარებას და ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრების მხარდაჭერას. დღეს, როგორც არასდროს, საქართველოს სჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის, კერძოდ კი, დასავლელი პარტნიორების მაქსიმალური ჩართულობა და მიზანმიმართული მხარდაჭერა. საქართველოს ახალ მთავრობას გაცხადებული აქვს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და, შესაბამისად, დაგეგმილი აქვს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გასატარებელი რეფორმები. ამ მიმართულებით საქართველო მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს და მინდა გითხრათ, რომ ეს პროცესი შეუქცევადია. სწორედ ეს კონტექსტია დღევანდელი სიმპოზიუმის თემაც, რომელიც ეხება ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობას სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის სფეროში.

ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში ამერიკის ექსპორტის კონტროლის და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის, გერმანიის ეკონომიკის და ექსპორტის კონტროლის სააგენტოს, ევროკავშირის ექსპერტებისა და საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობით შემუშავდა საქართველოს კანონპროექტი „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“, — განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერის განცხადებით, საქართველო შეასრულებს 2013 წელს აღებულ ვალდებულებას.

— ჩვენმა მთავრობამ საქართველოს პარლამენტს უკვე წარუდგინა აღნიშნული კანონპროექტი და მიმდინარეობს საკომიტეტო განხილვა. ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ამ კანონის ამოქმედებით შესაძლებელი იქნება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების დაცვა სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ბრუნვაზე ეროვნული კონტროლის დაწესების გზით; საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა გაეროს ფარგლებში არსებული ვალდებულებებისა და პრინციპების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ ამ კანონპროექტის და სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის განახლებული ნუსხების მიღებით საქართველო შეასრულებს 2013 წლის ყოველწლიური ეროვნული პროგრამით აღებულ ვალდებულებას, რომელიც სწორედ ამ კანონის მიღებას და მოდერნიზებული ნუსხების დამტკიცებას ითვალისწინებს. „ჩვენი ქვეყანა შეასრულებს აგრეთვე 2004 წლის უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, ნატოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებას და ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული ქარტიის განაწესებს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი აცხადებს, რომ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება საზღვრების უსაფრთხოება და ვაჭრობის კონტროლია.

როგორც ნორლანდი აღნიშნავს, მართალია მსოფლიოში ვაჭრობას ხელი უნდა შეეწყოს და ვაჭრობა ღია უნდა იყოს, მაგრამ ამან ტერორისტებსა და დამნაშავეებს უკანონო საქონელბრუნვის საშუალება არ უნდა მისცეს.

ნორლანდის თქმით, საქართველო ახალი კანონპროექტის მიღებით ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მისი იმპლემენტაციაა.

— ეს პროცესი მხოლოდ ერთ სამინისტროს და უწყებას არ ეხება, უწყებათაშორისი ძალისხმევაა საჭირო. ამ პროცესში პრემიერის მონაწილეობა, რა თქმა უნდა, წარმატების საწინდარია, — აღნიშნავს რიჩარდ ნორლანდი.

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადებით, თავდაცვისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე კანონის მიღება საზღვრებზე საქართველოს სუვერენულ კონტროლს გაამყარებს.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამით ქვეყანა საერთაშორისოდ აღებულ რამდენიმე ვალდებულებას ასრულებს, მათ შორის — გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას და ამერიკასთან სტრატეგიული თანამშრომლობის პარამეტრებს.

— ეს იქნება ერთ-ერთი საფუძვლიანი ნაბიჯი, რომელიც გადაიდგმება ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოების გზაზე. საფრთხეები რეალურად არსებობდა, რადგან წინა ნუსხაში გარკვეული სახის პროდუქცია მოხვედრილი არ იყო, ამიტომ ეს ნუსხები თავიდან იქნება შედგენილი და შევა ორმაგი გამოყენების საშუალების მქონე ყველა პროდუქცია. ჩვენ კანონმდებლობით ყველა ხვრელს ამოვავსებთ, რაც ბირთვულ, ქიმიურ და მასობრივი განადგურების იარაღს ეხება, შემდეგი ეტაპი იქნება უფრო რთული. კანონის განხორციელებაში ჩვენი ევროპელი და ამერიკელი ექსპერტები ბოლომდე გვერდში დაგვიდგებიან, — განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე განიხილა.

# კოტე კუბლაშვილი: „მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით არჩევა დაუშვებელია“

ნათია ხურცილავა



მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენცია გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიხსნა. კონფერენციაში 200-ზე მეტი ქართველი მოსამართლე მონაწილეობდა. კონფერენციაზე მოწვეულ საერთაშორისო ექსპერტებსა და მოსამართლეებს სიტყვით პარლამენტის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, კოტე კუბლაშვილმა და იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა მიმართეს.

კონფერენციაზე ასევე მიწვეული იყო პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, თუმცა ის მოსამართლეთა კონფერენციას გუშინ არ დასწრებია.

კონფერენციას ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, რიჩარდ ნორლანდიც ესწრებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა განაცხადა, რომ აღნიშნული შეხვედრა ორიენტირებულია საქართველოს საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაზე. მისი თქმით, საკითხი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას ეხება.

— დღეს ჩვენ ვმსჯელობთ იმ საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ, რომლის მიზანია უზრუნველყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა. უზრუნველყოს ის, რომ მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებდნენ მხოლოდ და მხოლოდ კანონმდებლობაზე დაფუძნებით, — განაცხადა ნორლანდმა.

მოსამართლეთა კონფერენციას ასევე ესწრებოდა საქართველოში ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი, რომელმაც ასევე მიმართა მოსამართლეთა კორპუსს.

ორივე ელჩმა პრესასთან საუბარში აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია იმ კანონპროექტის განხილვა, რომელიც საერთო სასამართლოებს ეხება, დიდი დაფიქრებითა და სიდინჯით ჩატარდეს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კოტე კუბლაშვილის განცხადებით, ეს შეხვედრა ძალიან კარგი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ მოსამართლეებმა თავად, მაგრამ ასევე უცხოელ კოლეგებთან ერთად იმსჯელონ იმ პროცესებზე, რაც სასამართლო სისტემაში ახლა მიმდინარეობს.

— მაგალითად, იმ ძალიან მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის უვადოდ დანიშვნის პრინციპის ამოქმედება და ამ პრინციპიდან გამომდინარე გადასადგმელი ნაბიჯები, ამაზე არსებობს განსხვავებული მოსაზრებები. ასევე მოსაზრებები, რომ საცდელი ვადაც უნდა იყოს შემოღებული, რასაც მე არ ვეთანხმები და ასევე ბევრი სხვა საკითხი, რომელიც მართლმსაჯულებას ეხება და დღევანდელ კონფერენციაზე განხილული იქნა, — განაცხადა კუბლაშვილმა.

იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის შეფასებით, ეს კონფერენცია არის მნიშვნელოვანი სასამართლო რეფორმის მეორე ტალღასთან დაკავშირებით.

— ჩვენ გვჭირდება, რომ ყველა მოსამართლემ მოასწროს ამ პროცესში ჩართვა, მაგრამ რეფორმა უნდა განხორციელდეს, — განაცხადა წულუკიანმა.

კონფერენციის მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ სასამართლო სისტემის ფუნქციონირების საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას. ასევე კონფერენციის ფარგლებში გაიმართა მსჯელობა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და გამჭვირვალობაზე.

როგორც ცნობილია, საუბარია მოსამართლეთათვის გამოსაცდელი ვადის დანიშვნაზე, რასაც არ ეთანხმება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

— წინა ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომა და ახალიც იგივეს გააკეთებს, თუ მოსამართლეებისთვის გამოსაცდელ ვადას დააწესებს, — ასე პასუხობს კონსტანტინე კუბლაშვილი ჩვენს მიერ დასმულ კითხვაზე.

კუბლაშვილს მიაჩნია, რომ აღნიშნული კანონი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობას ხელს შეუშლის.

— მთავარი საკითხი მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში, ეს არის სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შემოღება, ეს შესაძლებლობა მითითებულია 2010 წლის კონსტიტუციაში, მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებლობაა და არა ვალდებულება. ასეთი ვადის შემოტანა ნიშნავს, რომ მოსამართლეები, რომლებიც სამი წლით იქნებიან დანიშნული, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონტროლის ქვეშ მოექცევიან. ყოველწლიურად მათ იუსტიციის უმაღლესი საბჭო გააკონტროლებს და შეამოწმებს მათ მიერ განხილულ საქმეებს. თავის დროზე, როდესაც კონსტიტუციაში ჩაიდო ეს შესაძლებლობა, ეს იყო წინა ხელისუფლების შეცდომა. ჩემი პირადი პოზიცია ყოველთვის იყო, რომ არ გვჭირდებოდა ამ ტიპის გამოსაცდელი ვადა, რადგან ჩვენ მოსამართლეთა არჩევის სხვაგვარი სისტემა გვაქვს. ჩვენ იუსტიციის უმაღლესი სკოლა გვაქვს, სადაც ვამზადებთ კანდიდატებს და პირდაპირ არ ვნიშნავთ, როგორც ეს სხვა ზოგიერთ ქვეყანაშია. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების შეცდომას მეორე შეცდომა ახლანდელი ხელისუფლებისგან მოჰყვება, თუკი მოსამართლეების გამოსაცდელი ვადის დანიშვნა მოხდება, — აღნიშნა კონსტანტინე კუბლაშვილმა.

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის თქმით, სასამართლო რეფორმის განხორციელებისას მნიშვნელოვანია რამდენიმე საკითხი, მათ შორის ის, რომ სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობა არჩევითი გახდეს:

— ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია სასამართლო რეფორმის მეორე ტალღასთან დაკავშირებით. აღმასრულებელ ხელისუფლებას და იუსტიციის სამინისტროს ამ რეფორმის განხორციელება არსად არ ეჩქარება, იმიტომ, რომ გვჭირდება, ყველა მოსამართლემ მოასწროს ამაში ჩართვა, მაგრამ რეფორმა უნდა განხორციელდეს. დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას ვინც გაბედავდა, იმ მოსამართლეს გააციმბირებდნენ ხოლმე ისე, რომ აზრსაც არ ეკითხებოდნენ. ჩვენ გვინდა, რომ სასამართლოების თავმჯდომარეები, თუკი ამის თანხმობა იქნება მოსამართლეების მხრიდან, გახდნენ არჩევითები და რაც ყველაზე მთავარია ჩემთვის, სასამართლოს თავმჯდომარეს აღარ უნდა ჰქონდეს უფლება, საკუთარი მოსამართლის წინააღმდეგ აღძრას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და ეს უფლებამოსილება გადავაბაროთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, — განაცხადა მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენციაზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.

რაც შეეხება მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით არჩევას, იუსტიციის მინისტრს მიაჩნია, რომ ეს მსჯელობის საგანია.

— მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით არჩევა, ეს არის მსჯელობის საგანი, მაგრამ მსჯელობის საგანი ერთი რამ არ არის, 2010 წლის საკონსტიტუციო კანონში შავით თეთრზე წერია, რომ ამჟამინდელი მოსამართლეები უვადოდ ვერ დაინიშნებიან. ეს ეხება მხოლოდ მომავალში დანიშნულ მოსამართლეებს, — განაცხადა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან საუბარში.

# ნანა კაკაბაძე: „პროკურატურა სასაცილო მდგომარეობაშია“

## ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენა არ უნდა

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***– ბიძინა ივანიშვილისა და ექსპერტების შეხვედრა აქტუალობას არ კარგავს საზოგადოებაში. ისმის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასებები. თქვენ როგორ აფასებთ ამ ყველაფერს?***

– დიახ, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს შეხვედრა, ბევრი რამე გამოიკვეთა ამ შეხვედრიდან. მოდით, ვისაუბროთ დადებით და უარყოფით მომენტებზე. მე ვუყურებდი პრემიერს, თუ როგორ გამოიყურებოდა ამ ფონზე, საზოგადოებისთვის რამდენად განმარტავდა იმ საკითხებს, რაზეც მას თვითონ გაუჩნდა კითხვები და მომეჩვენა, რომ ყველაზე სუსტი და არასწორი პოზიცია, რომელიც მას ჰქონდა, ეს იყო სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. სამართლიანობის აღდგენაო ხალხს სხვა რამე ეგონაო და კარგად უნდა განვმარტოთ, რა არის სამართლიანობის აღდგენაო. მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ თვითონ იქ მყოფმა ექსპერტებმაც ძალიან ცოტა რამ იცოდა სამართლიანობის აღდგენის შესახებ. ყველაზე მომზადებული ამ მიმართულებით კახიშვილი იყო და ეს ბუნებრივიც არის... ჩვენს ქვეყანაში, როგორც ყველაფერი, ისე გაუგებარია ტერმინი „ექსპერტიც“. ექსპერტებთან შეხვედრა გასაგებია, თუ მეცოდინება, ეს ადამიანი რა მიმართულებით არის ექსპერტი. ყველა საკითხში ექსპერტი არ არსებობს, ხომ? ექსპერტი უნდა არსებობდეს კონკრეტულ საკითხებში, არ შეიძლება, ადამიანი ყველაფრის ექსპერტი იყოს. თუ ამბობს, რომ ყველაფრის ექსპერტია, ე.ი. ის არაფრის ექსპერტი არ არის. ვინაიდან კახი კახიშვილი იურისტია და კითხვაც თავისი სფეროდან დასვა, მე მომეჩვენა, რომ ყველაზე კარგად ის იყო მომზადებული.

***– თავად პრემიერის დამოკიდებულებას რაც შეეხება ამ სამართლიანობასთან დაკავშირებით?***

– რაც შეეხება პრემიერს, მინდა გითხრათ, რომ მისი პოზიცია იყო პრინციპულად არასწორი. ასე თუ ისე, ამ სფეროში რაღაც მეც გამეგება და ამის თქმა ნამდვილად შემიძლია. ჯერ ერთი, არასწორი, იქიდან გამომდინარე, რომ რამდენ ადამიანს ვასამართლებთ და ყველას ხომ ვერ დავიჭერთ, ყველას ხომ ვერ დავუბრუნებთ ქონებას, ყველას ხომ არ გავასამართლებთ და ასე შემდეგ... ეს პრინციპულად არასწორი პოზიციაა, იმიტომ რომ არავინ არ მოითხოვს ყველას გასამართლებას და ყველას ციხეში ჩასმას. ხალხმა არჩევანი გააკეთა, ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“ სამართლიანობის აღდგენისთვის და, თუ ხელისუფლებას არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა და ადეკვატური წარმოდგენა, რა იყო სამართლიანობა, მაშინ საწყის ეტაპზე უნდა ყოფილიყო ეს გარკვეული რა მოლოდინები ექნებოდა საზოგადოებას მისგან და მერე უნდა აელო ვალდებულება, რა სამართლიანობას აღადგენდა. ახლა უნდა ერკვეოდეს ხელისუფლება, რა არის სამართლიანობის აღდგენა?! ბევრი გამოდის და საუბრობს სამართლიანობის აღდგენაზე, მაგრამ ეს ტერმინი, „სამართლიანობის აღდგენა“, ჩვენ შემოვიტანეთ...

***– რას გულისხმობდით ამ ტერმინში, მაშინ თქვენ განუმარტეთ ხელისუფლებასა და საზოგადოებას...***



– ბევრმა დამისვა, სხვათა შორის, ეს კითხვა, რა არის ეს სამართლიანობის აღდგენა, შევარდნაძის დროს იყო და დღეს დაირღვა თუ რას ნიშნავს ეს ტერმინიო? ჩვენ ასე ვხედავთ ამ ყველაფერს, სამართლიანობა მარადიული ოცნებაა და ის ყოველთვის არსებობს, მისი დარღვევაც ხდება და ხელყოფაც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ სამართლიანობის აღდგენაში ვგულისხმობდით იმას, რომ ამ ცხრაწლიანმა რეჟიმმა, რომელიც ჩვენ და ჩვენი ტიპის საზოგადოებამ შეაფასა, როგორც რეჟიმი, 9 წლის განმავლობაში საზოგადოების უდიდეს ნაწილს ამ რეჟიმმა დაურღვია უფლებები. შეულახა ღირსება, რომელიც უნდა აღდგეს, რომელიც უნდა აღმდგარიყო, აი, ეს იყო სამართლიანობის აღდგენა, ამ ადამიანების შელახული უფლებები, ამ ადამიანების შელახული ღირსება უნდა ყოფილიყო აღდგენილი იმ ხელისუფლების მხრიდან, რომელმაც უარი თქვა ასეთი ტიპის მმართველობაზე. როდესაც ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა იმაზე, რომ დღეს კარგი პოლიცია გვყავს, ის კარგად იქცევა და ეს არის სამართლიანობის აღდგენა, ესეც პრინციპულად არასწორი პოზიციაა. კი, პოლიცია უნდა იქცეოდეს კანონის ჩარჩოებში, მართალია, დღესაც გვაქვს პოლიციის მხრიდან ხარვეზები, მაგრამ ამას არა უშავს, იმიტომ რომ აბსოლუტურად შეუცდომელი და აბსოლუტურად სწორი სისტემა არსად არ არსებობს, მით უმეტეს იმ ფონზე, რაც ჩაიბარა ირაკლი ღარიბაშვილმა. თუმცა ეს ხარვეზებიც იმიტომ არის, პოლიცია იქნება ეს თუ პროკურატურა, რომ არ ხდება სამართლიანობის აღდგენა.

***– კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში?***

– მოგახსენებთ, თუ რას ვგულისხმობთ ჩვენ სამართლიანობის აღდგენაში. სამართლიანობის აღდგენაში ვგულისხმობთ არა იმას, რომ დღეს ხელისუფლება აღარ აძლევს სასამართლოებს დაკვეთას, რომ თქვენ ასეთი და ასეთი გადაწყვეტილება მიიღეთ. ჩვენ სამართლიანობის აღდგენაში ვგულისხმობთ არა იმას, რომ პოლიციაში ხალხს აღარ აწამებენ, სამართლიანობის აღდგენაში ვგულისხმობთ იმას, რომ იმ ადამიანებმა, რომლებმაც ყველაფერი ეს, წამება, ღირსების შემლახავი მოპყრობა, ქონების ჩამორთმევა, ტერორი, სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება და ის ტერორი, რაც ამ ხალხმა განიცადა 9 წლის განმავლობაში, დღეს ხელისუფლება როგორ ხედავს ამ ადამიანების უფლებების აღდგენას. როგორ წარმოუდგენია და რა ხედვა აქვს და რას აკეთებს ამ მიმართულებით. მე შემიძლია გითხრათ, რომ ამ მიმართულებით ან არაფერს არ აკეთებს ეს ხელისუფლება, ან მის მიერ გაკეთებული იმდენად მცირეა, რომ ამან არ პოვა ასახვა საზოგადოებაში. საზოგადოებას არა აქვს დღეს იმის განცდა, რომ სამართლიანობის აღდგენა ამ ქვეყანაში მიმდინარეობს. თუმცა, ამის პარალელურად, უდიდესი მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომ ნაციონალური მოძრაობა თავისი ბოროტებით მეტ-ნაკლებად ჩამოშორებულია ხელისუფლების ძირითად ბერკეტებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დღეს სამართლიანობის აღდგენა მიდის. თუმცა ამის შესაძლებლობა ამ ათი თვის განმავლობაში ნამდვილად იყო.

***– თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთებულიყო?***

– მოგახსენებთ, რასაც ვგულისხმობ. ის, რომ პროკურატურაში არიან ისევ ის ძველი კადრები, ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში, როგორც ბატონი ბიძინა ამბობს, 90-92% ძველი კადრებია, ის, რომ სასამართლოებში იგივე მოსამართლეები იღებენ გადაწყვეტილებას, რომლებიც ადრე იყვნენ. ისმის კითხვა, ეს პროკურორები, ეს გამომძიებლები, ეს პოლიციელები და ეს მოსამართლეები რანაირად დაიდანაშაულებს თავს და რანაირად აღუდგენს დარღვეულ უფლებებს დანარჩენ ადამიანებს, ვის უფლებებსაც ამ პერიოდში არღვევდა?! ვერანაირად! ამას არც გააკეთებს და ვერც გააკეთებს, იმიტომ რომ, ეს რომ გააკეთოს, თვითონ უნდა აღმოჩნდეს სასამართლო სკამზე და ამიტომ ამას თავისი ნებით არავინ არ გააკეთებს. ამას სჭირდებოდა პოლიტიკური ნება, რომელიც, სამწუხაროდ, არ არსებობს ამ ქვეყანაში, რადგან პოლიტიკური ნება აღმოჩნდა კოაბიტაციის, დანაშაულთან შეგუების და არა სამართლიანობის აღდგენის. ჩვენ როდესაც გამოვედით ამ ინიციატივით, ვიგრძენით პასუხისმგებლობა, რომ მხოლოდ დაკვეთა კი არ მიგვეცა ხელისუფლებისთვის, აღედგინათ სამართლიანობა, თუმცა ესეც შეგვეძლო, რადგან ის ჩვენი დაქირავებულია, თუმცა ჩვენ ჩვენი ხედვა და პროექტიც შევთავაზეთ, როგორ უნდა მომხდარიყო ამის აღდგენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებისგან არავის გასჩენია იმის სურვილი, ამ თემაზე თუნდაც დისკუსია გაემართა, რამდენად სწორი იყო ის ხედვა, რომელიც ჩვენ მათ შევთავაზეთ. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს დღეს ქვეყანაში.

***– რატომ მიგაჩნიათ, რომ ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს?***

– ჩვენ პარლამენტს გავუგზავნეთ 11018 კაცის ხელმოწერით რეზოლუცია სამართლიანობის აღდგენის შესახებ და არა მხოლოდ რეზოლუცია, ჩვენ გავუგზავნეთ არგუმენტაციაც, თუ რა უნდა მომხდარიყო და როგორ უნდა შეფასებულიყო რეჟიმი. რა უნდა მომხდარიყო და უნდა თქმულიყო ის, რასაც ჰქონდა ადგილი წლების განმავლობაში და ამისი უამრავი ფაქტი არსებობს, რომელიც თვითონ ხელისუფლებას დღეს ხელში აქვს. ეს არის წამება და ღირსების შემლახავი მოპყრობა. ეს არის თვალთვალი და მიყურადება, რომლის ფაქტებიც და მტკიცებულებებიც ჩემზე კარგად იცით, რომ უამრავი აქვთ, ასევე, გაუხსნელი საქმეები, მკვლელობები, დანაშაულები, რომელსაც ჰქონდა სისტემური ხასიათი. ჩვენ ვთავაზობდით იმას, რომ მისცემოდა ამ ყველაფერს კვალიფიკაცია, რომ ამ პოლიტიკურმა ძალამ ამ ქვეყანაში 9 წლის განმავლობაში შექმნა სისტემური დანაშაულები. აი, ამას უნდა მისცემოდა კვალიფიკაცია, რომ ეს იყო სისტემური დანაშაულები. შემდეგ ადამიანების დაპატიმრებები უნდა მომხდარიყო არა გვარ-სახელებით, როგორც დღეს ხდება – ბაჩო ახალაია, ვანო მერაბიშვილი, იქნება თუ არა პატიმრობაში სააკაშვილი, ასე არ შეიძლება, ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება და ეს არის პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაპატიმრება. ასე არ შეიძლება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა. აი, ამ შეფასების შემდგომ, როდესაც ჩვენ ვიტყოდით, რომ ქვეყანაში იყო წამება ციხეებში, ამ საქმეზე გამოძიების დაწყებას უნდა მოჰყოლოდა კონკრეტული ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხები და არა პირიქით, იმიტომ რომ, როდესაც ეს პირიქით ხდება, ეს არის დამახასიათებელი ტოტალიტარული სახელმწიფოებისთვის და არა დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის. ადრე საბჭოთა კავშირში იყო ასეთი ტერმინი: მთავარია, იყოს ადამიანი, თორემ საქმე ყოველთვის გამოინახება. აი, ეს მიდგომა არ უნდა ყოფილიყო. უნდა ყოფილიყო მიდგომა იმას, რომ იყო წამება? აღძარი სისხლის სამართლის საქმე ამ წამებებზე და კონკრეტულ დამნაშავეებზე, მათ შორის ვანო მერაბიშვილზე, მათ შორის ახალაიებზე, მათ შორის სააკაშვილზე, ეს საქმეები მიგიყვანდა და მიგიყვანდა გაცილებით უფრო მეტი მტკიცებულებებით, ვიდრე დღეს, იმ სასაცილო როლში რომ არის პროკურატურაც და სასამართლოც და მთელი გამოძიება, რომ ახალაიას ასამართლებენ ვაშლის გათლაზე და წიწაკის სროლის თაობაზე. ეს ცინიზმია.

***– ვთქვათ, აღიძრა, მაგრამ ვის უნდა გაესამართლებინა, იმავე მოსამართლეებს?***

– რა თქმა უნდა, იმავე მოსამართლეების ხელში არ შეიძლება იყოს მოხვედრილი ის საქმეები, რომლებზეც მათ დანაშაულებრივი გადაწყვეტილებები აქვთ გამოტანილი. დანაშაულებრივი კანონმდებლობები იყო მიღებული 9 წლის განმავლობაში, როდესაც კანონმდებლობა კრძალავდა შეიძლება მოსამართლემ უდანაშაულო ადამიანი გაუშვა ციხეში, მაგრამ შენ მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება არ შეგიძლია. ეს ხომ დანაშაულია?! თუ მოსამართლე ჩადის დანაშაულს, როგორ შეიძლება, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება არ შეიძლებოდეს?! ეს არის არა მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტია, არამედ ეს არის საზოგადოების დაუცველობის გარანტია მოსამართლის სასარგებლოდ, რომელიც გამოყენებული იყო პოლიტიკური ანგარიშსწორებისათვის ანუ ჩვენ თუ არ ვიტყოდით და ჩვენ თუ არ მივცემდით შეფასებას, რომ ეს იყო რეჟიმი, რომელსაც მიზანმიმართულად ჰქონდა ის კანონები, რომელიც ჰქონდა და რომელზეც ბიძინა ივანიშვილიც ლაპარაკობდა, ესა თუ ის ქონება ერთ ლარად რომ იყო გასხვისებული ეს კანონიერი გზით იყოო. კაცო, კანონში რომ კაციჭამიობა დავაკანონოთ ეს სამართლიანი იქნება?! ამიტომ იყო საჭირო რეჟიმის შეფასება, რომ იქ თქმულიყო, რომ კანონმდებლობიდან დაწყებული, ადამიანის წამებით დამთავრებული, ეს იყო დანაშაულებრივი პოლიტიკა ნაციონალური მოძრაობის! მე იმას კი არ ვამბობ, რომ მთელი ნაციონალური მოძრაობა ჩაგვესვა ციხეში და ასეთი ბარბაროსები ვყოფილიყავით, არა, უბრალოდ შეფასება მიგვეცა, კვალიფიკაცია მიგვეცა, რომ ეს იყო დანაშაული! პრეზიდენტს, რომელსაც შეეძლო საზოგადოებისათვის კუთვნილი ქონება ერთ ლარად გაეჩუქებინა, განა ეს დანაშაული არ იყო? ეს იყო დანაშაულებრივი კანონმდებლობა, რომელსაც ბოროტად იყენებდა ხელისუფლება. აი, ეს უნდა თქმულიყო. პარლამენტის მიერ მიღებულ აქტს უნდა მოეცა ამის შეფასების უფლება. ამის შემდეგ უკვე იმის საშუალებაც მოგვეცემოდა, რომ ისეთი მოსამართლეებისთვის მიგვეცა ამ საქმეების განხილვის საშუალება, რომელთაც ამ პერიოდში არ მიუღიათ მონაწილეობა დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებში და გვარ-სახელებით შემიძლია ასეთი მოსამართლეების ჩამოთვლა. ხომ შეიძლებოდა ამ ნეიტრალური მოსამართლეებისთვის გადაგვეცა ეს საქმეები? მათ გამოეტანათ ეს გადაწყვეტილებები, რომ მოქალაქეებს ეგრძნოთ, რომ მათი უფლებების აღდგენის პროცესი დაწყებულია. ამას შეიძლება წლები დასჭირდეს, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის მთავარი ღირსებაა! ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ხელისუფლებამ იზრუნა საზოგადოების წართმეული ღირსების დაბრუნებაზე. აი, ეს არ არის დაწყებული დღეს.

***– საზოგადოებამ ძალიან ცუდად გაიგო და საკმაოდ გაღიზიანდა პრემიერის შეფასებებზე ზურაბ ადეიშვილთან მიმართებით...***

– სწორედაც, რა იყო ეს, რას ნიშნავდა?! ის იყო ნიჭიერიო, ნიჭიერი ჰიტლერიც იყო. ჩვენ ახლა იმას კი არ ვიხილავთ აქ, რამდენად ნიჭიერად ჩადიოდა ის ბოროტებას, ჩვენ ვიხილავთ, სამართლებრივად ამ ადამიანის ნიჭმა რა შედეგი დააყენა. ამ ადამიანის ნიჭმა დააყენა შედეგი იმისა, რომ პროკურორები იყვნენ გადაქცეულები ფოსტალიონებად, რომლებსაც ეს ბრალდებები მიჰქონდათ ადრესატთან და ადამიანმა, რომელსაც ბრალს წარუდგენდნენ, კარგად იცოდა, ხელს თუ არ მოაწერდა, ვერ გადარჩებოდა, ის იძულებული იყო, ყველაფერზე ხელი მოეწერა. აი, ამ სახის ფოსტალიონებად იყვნენ პროკურორები გადაქცეული. აი, ეს იყო ადეიშვილის ნიჭიერება და თუ ეს ნიჭიერება შესაშურია, მე უკვე კარგად ვხედავ, რატომაც მოსწონს ივანიშვილს პროკურატურაში ზოგიერთი პროკურორი. რასაკვირველია, აქ არ ვგულისხმობ კბილაშვილს, რომელიც მართლაც წესიერი ადამიანია და რომელიც ადვოკატურიდან წავიდა და მისი მიდგომები მე ძალიან მომწონს. თუ ადეიშვილი მოსაწონია თავისი ნიჭიერებით, გასაგებია, რატომაც არის მოსაწონი დანარჩენი კადრები, რომელზეც თვითონ ისაუბრა ამ შეხვედრაზე. რა ლოგიკა აქვს იმას, რომ ადეიშვილი იყო ნიჭიერი. ჰიტლერიც იყო ნიჭიერი და ვილაპარაკო ახლა ჰიტლერის ნიჭიერებაზე. ვინმე მსოფლიოში ლაპარაკობს მის ნიჭიერებაზე და მის შესაძლებლობებზე? ლაპარაკობენ იმ უბედურებაზე, რომელიც მან მსოფლიოს მოუტანა. ჩვენც ამაზე უნდა ვილაპარაკოთ, ვის აინტერესებს მისი ნიჭიერება, ჩვენ უნდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა გააკეთა მან! მან გააკეთა ის, რომ შექმნა სისტემა, რომელიც იყო აგებული არა სამართალზე, არა კანონზე, არამედ პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე, პოლიტიკურ ძალადობაზე, ადამიანების გაყვლეფაზე, ღირსების შელახვაზე და ასე შემდეგ. აი, ეს სისტემა შექმნა ნიჭიერად, ორგანიზებულად და ასე შემდგომ. აი, სწორედ ამ ნიჭიერებისთვის უნდა აგოს ადეიშვილმა პასუხი! რატომ მე არ ვიცნობდი მასო, რას ჰქვია, იცნობდი, ადამიანმა, რომელმაც ეს შედეგი მოუტანა ქვეყანას, როგორ შეიძლება მასზე დადებით კონტექსტში საუბარი?! ნიჭიერება საერთოდ ასეთ კონტექსტში არ იხმარება ხოლმე. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ იმ ბოროტებაზე, რომელიც ადეიშვილის პოლიტიკამ ჩვენს ქვეყანას მოუტანა.

# ვის გააძევებენ „ქართული ოცნებიდან“

თამარ ნინიძე

**ყოველი ხელისუფალი თავისი შეცდომების არაღიარებითა და თვითკრიტიკის არქონით იჭრის იმ ტოტს, რომელზეც ზის. შეხვედრა ექსპერტებთან, რომელიც ბიზნესცენტრში გაიმართა, ივანიშვილის მხრიდან ექსპერტების როლის დაკნინებას კი არ მოემსახურა, არამედ ივანიშვილის ავტორიტეტისა და ნდობის ეჭვქვეშ დაყენებას საზოგადოების თვალში.**

უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ პრემიერი უმოწყალოდ აკრიტიკებს და ხშირად ეჩხუბება მედიას მის მიერ ორგანიზებულ პრესკონფერენციებზე. ის პოლემიკაში შედის და ჟურნალისტებს უმტკიცებს, რომ თეთრი თეთრია და მისი შავად წარმოჩენა თურმე ჟურნალისტებს განზრახ სურთ. არადა, ერთი წლის მანძილზე პრობლემები და გადაუჭრელი ამოცანები კვლავ დღის წესრიგში დგას, აუხდენელ ოცნებებსა და შეუსრულებელ დაპირებებზე რომ არაფერი ითქვას. მედიას ედუარდ შევარდნაძე ეფერებოდა, ყოველ შემთხვევაში, კარგად მაინც ესმოდა, მისი მემკვიდრეებისგან განსხვავებით, რომ მეოთხე ხელისუფლებას უდიდესი როლი აქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, ამიტომ სულ იმას ამბობდა, თავისუფალი მედია ჩვენი ყველაზე დიდი მონაპოვარიაო და არც ტყუოდა, ნაციონალები კი იკითხავენ, შევარდნაძე მედიას რითი უწყობდა ხელსო, მაგრამ მედიასაშუალებების წარმომადგენლებმა კარგად ვიცით, რომ ტელევიზიები მაშინ უფრო თავისუფლად მუშაობდნენ, ვიდრე სააკაშვილის დროს და პრესაც ისე არ იყო იგნორირებული, როგორც სააკაშვილის პერიოდში, ისიც კარგად მახსოვს, რომ არაერთი საგაზეთო პუბლიკაციის გამო მაშინდელმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმეები აღძრა, ხოლო გაზეთებში დაბეჭდილი სტატიების გამო პარლამენტის საგამოძიებო კომისიები აქტიურად მუშაობდნენ ამ ინფორმაციების გადამოწმებასა და რეაგირების მოხდენაზე, იმით, რომ სამართალდამცავ ორგანოებს გადასცემდნენ მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციებს. მხოლოდ ერთი მაგალითი საკმარისია გავიხსენოთ, შოთა კვირაიას უძლეველობის მითი ერთ დღეში დაისხვრა მედიისა და პარლამენტის საგამოძიებო კომისიის ერთობლივი მუშაობის შედეგად.

მოკლედ, მედიას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს მხოლოდ გამოცდილმა პოლიტიკოსმა და საერთაშორისო რანგის დიპლომატმა შევარდნაძემ იცოდა კარგად, სააკაშვილისთვის და პოლიტიკურ პროცესებში, პოლიტიკურ ინტრიგებში გამოუცდელი ივანიშვილისთვის მედია და სამოქალაქო სექტორი მხოლოდ გარკვეული მანიპულირების საშუალებაა მხოლოდ და არა ნორმალური სახელმწიფოს აშენებისთვის ძირითადი ბაზა მცირე და საშუალო ბიზნესთან ერთად.

ამიტომ შეიძლება გასაკვირი არ იყო, რომ ივანიშვილმა ახლა უკვე მედიის გარდა პოლიტოლოგებსა და ექსპერტებსაც შეუტია. ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ პრემიერი განსაზღვრული გეგმით მოქმედებდა, როგორმე გაეშავებინა ექსპერტები და დააკნინებინა მათი როლი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში. არაერთხელ გააკრიტიკა ისეთი ობიექტური და გაწონასწორებული პოლიტოლოგი, როგორიც სოსო ცისკარიშვილია. რატომ ახლა და რატომ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე? ამაზე ბევრი კითხვა დაისმება. მაგრამ ვარაუდის გამოთქმის უფლება მაინც გვაქვს და თავისუფალი სიტყვის ჩახშობასა და აკრძალვას ივანიშვილი კი არა, ვერც ერთი სხვა ავტორიტეტი ვერ მოახერხებს. არის ვარაუდი, რომ ექსპერტების გაშავება და მათი დისკრედიტაცია ორ პოლიტიკურ ძალას განსაკუთრებით აინტერესებდა – რესპუბლიკელებსა და ნაცმოძრაობას, ბოლო დროს თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არაერთ გამოცემაში ექსპერტები რესპუბლიკელებისა და ნაციონალების კოაბიტაციის შუქ-ჩრდილებზე მიანიშნებენ. ივანიშვილი არ იყო შემოსული პოლიტიკაში, რომ ექსპერტები და მედია პროგნოზებს ღიად და გახსნილად აკეთებდნენ და ხშირად ეს პროგნოზები მართლდებოდა, ამიტომ ის, რომ კოაბიტაცია რესპუბლიკელებსა და ნაცმოძრაობას შორის მეტისმეტად გაგრძელდა და უკუღმართი ფორმა მიიღო, ეს ანალიზის საფუძველი უნდა გახდეს და არა ექსპერტებზე თავდასხმებისა. ეს ფლირტი ახლა კი არ დაიწყო, არამედ ერთი წელია მიმდინარეობს და საზოგადოება ერთი წელია ამ ფლირტის მოწმეა. ის ნაკლოვანებები და და პრობლემების მთელი გროვა, რომელიც ექსპერტებმა ივანიშვილთან შეხვედრაზე დასვეს, წესით, კარგ მენეჯერსა და სახელმწიფო მოღვაწეს უნდა გაეანალიზებინა და უფრო საქმიანი ინტერესი გამოეჩინა, არადა, ისედაც გაღიზიანებული და ნერვებმოშლილი საზოგადოება კრიტიკის, უსაგნო ბრალდებებისა და არაობიექტური თავდასხმების მოწმე გახდა ექსპერტების მიმართ. მართალია, ექსპერტების გარკვეული ნაწილი, როცა თემატური ჯგუფები შეიქმნა „ქართული ოცნების“ ოფისში, მასში აქტიურად ჩაერთო და ხელფასსაც იღებდა ივანიშვილისგან, ამიტომ გარკვეულწილად დავალებულადაც კი გრძნობს თავს მის წინაშე, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ერთბაშად უნდა დადუმდეს, პირში წყალი ჩაიგუბოს და პრობლემებზე ღიად აღარ ილაპარაკოს, შეიქმნას მლიქვნელთა ერთგვარი ახალი გუნდი, რომელიც მხოლოდ თვალებში შეციცინებით იქნება დაკავებული. სხვათა შორის, სააკაშვილსაც ჰყავდა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც მრჩეველთა საბჭოს სახელით იყო ცნობილი. ამ საბჭომ მხოლოდ ცოტა ხანს გაძლო, უფრო ზუსტად, სააკაშვილმა ვერ გაუძლო სხვების რჩევებს და ეს „კანტორა“ მიახურა. ახლა ეს თემატური ჯგუფები აღარ არსებობს, დაქირავებული კონსულტანტების არმიაც, შესაბამისად, არ არის და ყველა ექსპერტმა დამოუკიდებლად მოღვაწეობა განაგრძო. თუკი ვინმე ივანიშვილის მრჩევლად დარჩა, ის იმისათვის კი არ იღებს ჯამაგირს, რომ ქლესაობა და მლიქვნელობა იყოს მისი მთავარი სამუშაო, არამედ პრობლემების არსებობის მიგნება და მათი გადაჭრის გზებზე პრემიერთან მსჯელობა.

ივანიშვილისთვის, ისევე, როგორც მრავალი ქართველისთვის, ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული ავტორიტეტია, ამიტომ მისი სიტყვები, „მოყვარეს პირში უძრახე“, ზუსტად იმ აზრითა და შინაარსით ესმით, როგორც ეს იყო მის მიერ თქმული. კარგია, როცა ღია ფორმატში ასეთი შეხვედრები იმართება, ეს ხელისუფლების გამჭვირვალობაზე მეტყველებს, მაგრამ, ზოგ შემთხვევაში, დელიკატური საკითხების გარკვევა დახურულ შეხვედრებზე უფრო ეფექტურია. ასევე კარგი იქნება, თუ ამა თუ იმ დარგის ექსპერტები კონკრეტული დარგის მინისტრებს შეხვდებიან და პრობლემებზე დისკუსიები გაიმართება, თანაც, თუ ამაში უშუალოდ რიგით მოქალაქეებსაც ექნებათ ჩართვის საშუალება.

ისე, მეფე გიორგი პირველი ინით ილებავდა წვერს, ინილბებოდა და ხალხში გადიოდა, რომ უკეთ გაეგო, მის ხელქვეითებს რა აწუხებდათ. არავინ ურჩევს ივანიშვილს, მეფე გიორგის მიბაძოს, მაგრამ კონკრეტულ საკითხებს მეტი შესწავლა სჭირდება და, სხვათა შორის, მამუკა არეშიძის მიერ ხსენებულ კონკრეტულ ფაქტებზე რეაგირება მარტივად შეიძლებოდა, არეშიძისთვის უნდა ეთხოვათ პროკურატურაში მისვლა, განმარტებების მიცემა და ამის საფუძველზე საქმის აღძვრა, თუ ეს აუცილებელი იყო. აი, ეს იქნებოდა რეაგირება და არა თავდასხმები და უნდობლობა ექსპერტების მიმართ.

ივანიშვილი პოლიტიკაში მხოლოდ ერთი წელია ჩაება, ეს ექსპერტები კი ათეული წელია პოლიტიკაში იხარშებიან, ამიტომ, როცა ისინი ვარაუდობენ გარკვეულ პოლიტიკურ პროცესებს, მათ, როგორც ჩანს, საამისოდ საბაბიც აქვთ.

ცოტა ხნის წინ კონფლიქტოლოგმა, კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორმა ალექსანდრე რუსეცკიმ წერილი გამოაქვეყნა, რომელიც ხსნის დღეს არსებული კოაბიტაციური ფლირტიდან გამოწვეულ პოლიტიკურ კრიზისს. მას მიაჩნია, რომ კოაბიტაციური ალიანსი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კი არ დაიშლება, არამედ, პირიქით, უფრო განმტკიცდება და მეტიც, დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელებას შეუდგება. ერთ-ერთი მიზანია ივანიშვილის პოლიტიკიდან განდევნა. ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ივანიშვილი პარტიების დაფინანსებას აღარ გააგრძელებს, ამიტომ უფულოდ დარჩენილი პარტიები არსებობისთვის ბრძოლაში თანამოაზრეებს მოიძიებენ. ასეთი თანამოაზრეები უკვე არიან რესპუბლიკელები და ნაციონალები. ალექსანდრე რუსეცკი ვარაუდობს, რომ კოაბიტაციონერები ალიანსიდან იმ პარტიებსა და ადამიანებს განდევნიან, ვინც მათ ამ მიზნებს ხელს უშლის, უკვე დაიწყო პარლამენტმა საკუთარი უფლებების გაზრდა პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებების შემცირების ხარჯზე ანუ უსუფაშვილის უფლებები განუზომლად იზრდება და მომავალი პრეზიდენტისა და პრემიერის უფლებები უფრო შეკვეცილია.

კონფლიქტოლოგის აზრით, კოაბიტაციონერები შეეცდებიან, პრემიერად გაიყვანონ არა ივანიშვილის მიერ მოწონებული კანდიდატი, არამედ ის ფიგურა, რომელიც მათი ნდობით ისარგებლებს. გაგრძელდება ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა. ძალაუფლებას ჩაჭიდებული კოაბიტაციონერები მტკიცე უარს ეტყვიან საზოგადოებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვაზე და ადგილობრივი არჩევნების პერიოდში ეცდებიან, მაქსიმალურად დაიკავონ საკვანძო პოსტები რეგიონებში და მთლიანად გააკონტროლონ ადგილებზე ხელისუფლება. იქნება იმის მცდელობა, შექმნან განწყობა, რომ მხოლოდ ისინი არიან პროდასავლური ვექტორის ერთგულები, არის საფრთხე, რომ მივიღოთ საბოლოოდ მიშა ორი.

# განევ-გამოწევა თბილისის საკრებულოში

## გიორგი ნემსაძე და მამუკა გუგეშაშვილი ირაკლი შიხიაშვილმა გააშველა

შორენა გონგლაძე



თბილისის საკრებულოში და მის კედლებს მიღმა გუშინ დიდი ხმაური იყო.

საკრებულოს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ბინათმესაკუთრეთა საკითხის განხილვას ითხოვდნენ. ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო საკრებულოს თავკაცი ირაკლი შიხიაშვილი. მისი თქმით, დღის წესრიგი უკვე შედგენილია და დამატებით საკითხს მასში ვერ შეიტანდა.

შიხიაშვილის უარმა ნაციონალების აღშფოთება გამოიწვია. შიხიაშვილმა აღშფოთებულებს შეახსენა, რომ ბიუჯეტს მხარი მათაც დაუჭირეს.

ირაკლი შიხიაშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ ამხანაგობებისათვის გათვალისწინებული პროგრამებისთვის ბიუჯეტის შემცირებაზე ხმა მიცემული აქვს საკრებულოს უმცირესობასაც. კერძოდ, მან დაასახელა, მამუკა ახვლედიანი, ქეთი ქოჩორაშვილი და უმცირესობის კიდევ რამდენიმე დეპუტატი.

მამუკა ახვლედიანი საკრებულოს წინ, ამხანაგობების თავმჯდომარეების აქციაზე იმყოფებოდა. ის მოგვიანებით შეუერთდა საკრებულოს სხდომას. ახვლედიანს დარბაზში შესვლისთანავე ირაკლი შიხიაშვილმა მიმართა, რომ ბინათმშენებელობების ამხანაგობებისათვის გათვალისწინებული პროგრამებისთვის თანხების შემცირებაზე მასაც აქვს ხმა მიცემული.

მამუკა ახვლედიანმა განაცხადა, რომ საჭიროა უახლოეს დღეებში საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შედგეს, სადაც ამხანაგობების პროგრამებისათვის დამატებითი თანხების მოძიებაზე იმსჯელებენ. ამ საკითხს კამათი მოჰყვა, რომელშიც უმცირესობის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“ თამაზ შოშიაშვილი და სხვა დეპუტატები ჩაერთნენ.

უმრავლესობის წარმომადგენელის ბესარიონ ბენდელიანის განცხადებით, დედაქალაქის მერი გიგი უგულავა „რასაც აშენებდა, სისხლით აშენებდა. ამ რეპლიკას უმცირესობიდან მწვავე გამოხმაურება მოჰყვა, რაც ხმაურში გადაიზარდა.

ამ თემაზე ცხარე კამათი გაიმართა და დეპუტატები დერეფანში გამოვიდნენ. კამათი იქაც გაგრძელდა. განსაკუთრებით „ნაციონალური მოძრაობა – ჩვენი ქალაქის“ წევრი მამუკა გუგეშაშვილი და ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისის“ წევრი გიორგი ნემსაძე აქტიურობდნენ.

მათი აქტიურობა საკრებულოს ფოიეში ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. საქმე უფრო გართულდებოდა საკრებულოს თავკაცს რომ არ ემარჯვა. ირაკლი შიხიაშვილმა სიტუაცია განმუხტა. ამის შემდეგ სხდომა კიდევ განახლდა.

საკრებულოს შენობის წინ საპროტესტო აქციაც მიმდინარეობდა. აქცია ბინათმოსაკუთრეებმა გამართეს. მათ საკრებულოს შენობაში სცადეს შესვლა. თუმცა პოლიციამ ამის ნება არ მისცა.

# სოფლის მეურნეობის სამინისტრო გლეხებს მიმართავს

საწარმოების მიერ ე.წ. დილერების საშუალებით ყურძნის მიღებაზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახური სპეციალურ განცხადებას ავრცელებს.

„გვინდა განვაცხადოთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და თხოვნით მივმართავთ გლეხებსა და ფერმერებს, რომ არ აყვნენ პროვოკაციას. გთხოვთ, დაეყრდნოთ მხოლოდ „რთველი 2013-ის“ საკოორდინაციო შტაბის მიერ დადგენილ ორგანიზაციულ მითითებებს, საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდეთ ცხელ ხაზს ტელ. ნომერზე 2 27 01 01 და მიიღოთ ოპერატიული და სანდო ინფორმაცია“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით (2013 წლის 26 სექტემბრი) კახეთის რეგიონში 80 კომპანიის მიერ სიღნაღის, გურჯაანის, თელავის, ყვარლის, დედოფლისწყაროს, ახმეტის, ლაგოდეხის და საგარეჯოს რაიონებში უკვე შესყიდული და გადამუშავებულია 73382.0 ტონა ყურძენი.

ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან „რთველი 2013 -ში“ ჩაერთვება რაჭის რეგიონი, სადაც რთველის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, გაიხსნება საკოორდინაციო შტაბი.

26 სექტემბრის მდგომარეობით, მიღებული და გადამუშავებულია 73382.0 ტონა ყურძენი, აქედან: საფერავი – 25281.8 ტონა, რქაწითელი – 45725.9 ტონა, კახური მწვანე – 1051.1 ტონა, სხვა ჯიშები – 1323.2 ტონა.

**მედიანიუსი**

# გიორგი მარგველაშვილი და ირაკლი ალასანია ომის ვეტერანებს შეხვდნენ




კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი სოხუმის დაცემის ტრაგიკულ დღესთან დაკავშირებით, თავდაცვის მინისტრ ირაკლია ალასანიასთან ერთად „ექსპო-ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში ომის ვეტერანებს შეხვდა.

როგორც „მედიანიუსს“ პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბიდან აცნობეს, შეხვედრას ათასზე მეტი ომის ვეტერანი დაესწრო. ირაკლი ალასანიამ სამძიმარი გამოუცხადა ვეტერანებს და აფხაზეთის ომში დაღუპულ ოჯახებს, რის შემდეგაც სიტყვა კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს გადასცა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. გიორგი მარგველაშვილმა ვეტერანებისგან ის პრობლემები მოისმინა, რაც 20 წლის განმავლობაში დაგროვდა. კოალიციის კანდიდატმა შეკრებილ საზოგადოებას კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიან გეგმაზე ესაუბრა. ასევე ძლიერი სახელმწიფოსთვის, ძლიერი ჯარის მნიშვნელობაზე გააკეთა აქცენტი. გიორგი მარგველაშვილმა სამშობლოსთვის მებრძოლ გმირებს ელიტა უწოდა და აღნიშნა, რომ ახალი თაობა მათი ტრადიციებით უნდა გაიზარდოს და დაფასებაა საჭირო იმ გმირების ვინც სამშობლოს უკეთესი ცხოვრების შესაძლებლობა მისცა.

„27 სექტემბერი ერთნაირად მძიმე დღეა, როგორც ქართველებისთვის და ასევე აფხაზებისთვის, იმიტომ რომ 20 წლის წინ დაეცა სოხუმი და ძალიან დიდი ტკივილი განიცადა ჩვენმა ქვეყანამ. ამ ტკივილის ერთმანეთთან გასაზიარებლად შევიკრიბეთ. ძალიან ბევრი პრობლემა დაგროვდა, რაც ბუნებრივია ერთ დღეში ვერ მოგვარდება. თუმცა საზოგადოებამ დაინახა თუ როგორ აფასებს ქვეყანა თავის მებრძოლებს, რომელთაც დაფასება და გვერდში დგომა სჭირდებათ“-განაცხადა მარგველაშვილმა

კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატმა დღეს ასევე გვირგვინით შეამკო აფხაზეთის ომში დაღუპული გმირთა მემორიალი.

**მედიანიუსი**

ეკა ირემაშვილი

# ამირან შალიკაშვილი: „მომეცით თეატრი!“

პანტომიმის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელი ამირან შალიკაშვილი თბილისის მერიის გადაწყვეტილებას ელოდება. სწორედ მთავრობის სხდომაზე უნდა გადაწყდეს მისი და მისი თეატრის ბედი. როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, შენობაში, რომელშიც პანტომიმის თეატრია განთავსებული, მოზარდ მაყურებელთა თეატრი ფუნქციონირებდა, რომელმაც შენობა მემკვიდრეობით სწორედ პანტომიმის თეატრს დაუტოვა. ამირან შალიკაშვილი ირწმუნება, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტებიც გააჩნია.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შენობა, რომელიც რუსთაველის გამზირზე მდებარეობს და პანტომიმის თეატრი ფუნქციონირებს, სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გაყიდა. ამირან შალიკაშვილი ამბობს, რომ მას ალექსანდროვის ბაღში მიწის ფართობს აძლევენ, სადაც, როდის აშენდება თეატრი, კაცმა არ იცის. რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობაში კი პანტომიმის თეატრს 2014 წლის ბოლომდე აქვს დარჩენის უფლება.

ამირან შალიკაშვილი აცხადებს, რომ თეატრის დასს მთლიანად საგასტროლო გრაფიკზე გადაიყვანს და ქართული პანტომიმის ხელოვნებას მთელ მსოფლიოს კიდევ უფრო ახლოს გააცნობს. მსახიობები სულ ახლახან დაბრუნდნენ ლვოვიდან, სადაც თბილისის კულტურის დღეებში მიიღეს მონაწილეობა. რეჟისორთან და მსახიობთან საუბარი „ახალმა თაობამ“ სწორედ ამ თემით დაიწყო.

**ამირან შალიკაშვილი:**

— ჩვენ ახლახან დავბრუნდით ლვოვიდან, სადაც მონაწილეობა მივიღეთ თბილისის კულტურის დღეებში. საერთოდ ვერიდები წარმატებებზე ლაპარაკს. ეს ჩემი პრეროგატივაა, მაგრამ ისეთი წარმატება იყო ლვოვში, რომ ერთი ამბავია ატეხილი, ხვევნა, კოცნა და ოვაციები. ლვოვში გამოვდიოდით თბილისის კულტურის დღეებზე, გამოვდიოდით ასევე „არმიანსკაია ულიცაზე“, ვთამაშობდით მერიის წინ. არ ვიცოდით და ეს ყოფილა მათი სახალხო დღესასწაული, ისევე, როგორც თბილისობა. უკრაინელი გოგონები დადიოდნენ ეროვნულ სამოსში ჩაცმულები, ვუთხარი ბიჭებს, მათთან სურათის გადაღება მინდა-მეთქი და ბატონო ამირან, ფული უნდა გადაიხადოთო და მოვერიდე, იმიტომ რომ საშინელი სიძვირეა. ერთი ბუტერბროდი და ერთი წვენი ავიღე და 6 დოლარიო. ის კი გადავიხადე, მაგრამ მერე აღარ გავეკარე.

***— რა სპექტაკლი ითამაშეთ ლვოვში?***

— „კრიმანჭული“. სასწაული ქალაქია, ულამაზესი, ეს ხომ გერმანული ქალაქია, იქ რომ შევედით ყავის სახლში და საოცრება იყო. შენობებს აწერია, რომ ისჯება, თუკი შენობას ხელს ახლებ და დააზიანებ. ასეთი კანონი ჩვენც გვინდა, ჩვენ არ გვაქვს იმის კულტურა, რომ სიძველეებსა და შენობებს გავუფრთხილდეთ. სად არის ძველი თბილისი? არსად არ გვაქვს. ძველი თბილისი აღარ არის, მარტო ჩემი სახლია, სადაც ვცხოვრობ, თავს ვიკლავ, რომ შენარჩუნდეს, არადა რა გამიკეთეს? მოვიდნენ, მიმინგრიეს, მომინგრიეს, დამინგრიეს, მიმილეწეს, მომილეწეს და გაკეთება არავის უნდა.

***— თქვენ საქართველოს პრეზიდენტის მეზობელი არ ხართ?***

— არა! მიშაა ჩემი მეზობელი, მე არ ვარ მისი მეზობელი! თვითონ მოვიდა, ეგ გადმოვიდა ჩემს მეზობლად.

***— რამე პრივილეგიები გაქვთ?***

— არავითარი, პირიქით, დედა მიტირა, გარაჟი დამილეწა, რაღაცები ასღადგენი იყო, ისიც სულ წყალში გადამიყარა, 6-7 თვე დავრბოდი, რომ კიბე მაინც გაეკეთებინათ, მაგრამ ისიც არ გამიკეთა. ახლა დიდ ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ივანიშვილის დახმარებით ჩემს სახლს ვაკეთებ.

***— საერთოდ ნგრევაში რომ არ მოყევით, არ გიკვირთ?***

— მე? არა, მაგდენს ვერ გაბედავდა!

***— თეატრის გაყიდვა ხომ გაგიბედათ?***

— კი, გაბედა, მაგრამ კი ვარ თეატრში.

***— როდემდე?***

— ვარ თეატრში, ვთამაშობთ სპექტაკლებს. რა და როგორ იქნება, უახლოეს მომავალში გაირკვევა. ჩვენი მენეჯერი მარინა არკვევს ყველაფერს. იმათ მიზეზი მოიდეს, ხომ გაგიგიათ, მიზეზ მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

***— რა იყო მიზეზი?***

— 5 წლით მოგვცეს ჩვენ ალექსანდროვის ბაღში ტერიტორია. უზურფრუქტში ასე წერია. ახლა თხოულობენ 30-ს. შესანიშნავი ადამიანია მამუკა ქაცარავა, ღმერთის წყალობით, საოცარი კაცი მყავს გამოგზავნილი, ახლა 30 წლით გაკეთდება.

***— ანუ თქვენ გადახვალთ თეატრ „გლობუსში“?***

— არ არის ის „გლობუსი“, გაიგეთ, ხალხო!

***— აბა, რა არის?***

— ტუალეტია, ტუალეტი! რა მოიგონეს ეს „გლობუსი“. არაფერი აღარ არის იქ! დანგრეულია გარედანაც, შიგნიდანაც! რა უნდათ ჩემგან, რას გადამეკიდნენ!

***— შენობას ვინ გაგიკეთებთ?***

— სილქროუდმა უნდა გააკეთოს. 1900 კვადრატული მეკუთვნის აქ ჩემი ტერიტორია, სადაც ახლა ვართ რუსთაველის გამზირზე.

***— საიდან გეკუთვნით?***

— მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მემკვიდრეობით გადმომცა.

***— გაქვთ ამის საბუთი?***

— ამის საბუთი რომ მაქვს, იმიტომ არის, რომ ვწივი და ვკივი. გავუგზავნე ეს საბუთი ახლანდელ მთავრობას და მოაწერა ხელი, რომ ეკუთვნის პანტომიმის თეატრს. საბუთი მაქვს, მაგრამ რადგან იმან გაყიდა, მერიამ მოძებნა გამოსავალი, იქმომცა 900 კვადრატული, მაგრამ იქ არაფერი კეთდება, არაფერი შენდება. ჩემთან „გლობუსი“ არ ახსენოთ, მომცეს ტერიტორია, მიწა და ვთქვი კიდეც, მიწა დაიყარონ თავზე! მე მინდა თეატრი! მაქვს შენობა და 1900 კვადრატული ფართი. მისი ღირებულება დღეს რუსთაველის გამზირზე 9 მილიონია. დადონ 9 მილიონი!

***— ვინ მოგცემთ 9 მილიონს?***

— უნდა მომცენ, მე ამირან შალიკაშვილი ვარ და, ყველაფერთან ერთად, სხვათა შორის, თავადი ვარ!

***— მორჩა ბატონყმობა, ბატონო ამირან...***

— არა, ხომ ხედავთ, რას ამბობს ივანიშვილი, აი, ეს მინდა პრეზიდენტად და ეს იქნებაო. ეს არ არის კომუნისტური ხერხი? არ არის ეს თავადური ხერხი? მეც თავადი ვარ! ერთხელ ძალიან გამიჭირდა და ჯანსუღ ჩარკვიანთან მივედი მწერალთა კავშირში. წამოდი ახლა შენო, გვერდზე ოთახში გამიყვანა, შევედი, გაიღო კარი, ნოდარ დუმბაძე ზის კართან ახლოს და კიდევ 50-მდე მწერალი იჯდა, წამოდგა ნოდარ დუმბაძე, თავადი შალიკაშვილი მობრძანდა, გთხოვთ, აბრძანდეთ ფეხზეო და ყველა ადგა ფეხზე. გავწითლდი, გავშავდი, რა მექნა, აღარ ვიცოდი. რომ გამოვედით, ვუთხარი, ბატონო ჯანსუღ, ეს რა მიქენით-მეთქი და მე არ ვიცოდი, ეს ნოდარმა გააკეთაო. ნოდარი გურული კაცი იყო და ჩვენ გურულები, თავადები ვიყავით.

***— რამდენად გაიყიდა თქვენი შენობა?***

— 35 მილიონად გაუყიდიათ.

***— როდემდე გაქვთ ამ შენობაში ყოფნის უფლება?***

— 2014 წლის ბოლომდე, ალბათ. მერიამ იცის, მეც კარგად ვიცი, რომ ბევრი საქმეა გასაკეთებელი. მთავრობის სხდომაზე უნდა გავიდეს ჩვენი საკითხი, უნდა დამტკიცდეს ეს ტერიტორია 30 წლით ჩვენზე და მერე ვინ ააშენებს, ჯერ არ ვიცი. პრინციპი არის ასეთი — შენობა მაგათი არ არის, შენობა იყო მოზარდ მაყურებელთა თეატრის, სადაც ახლა ვარ, მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მემკვიდრეობით — თეატრმა თეატრს გადასცა შენობა. რა არის აქ გაუგებარი? არავითარი მიტინგობა და პროტესტები არ ვიცი, ვზივარ თეატრში, მაქვს შენობა და ერთი ვინმემ ხელი მახლოს!

***— სპექტაკლებით არ აპროტესტებთ, რაც არ მოგწონთ?***

— არაფერს არ ვაპროტესტებ, ვთამაშობთ ჩვენ სპექტაკლებს. ორიოდე დღის წინაც იყო „ქრისტე“ და რა ვქნა, უნდა ვთქვა, რომ პანტომიმის თეატრი საერთაშორისო თეატრია, უცხოელები ანგრევდნენ აქაურობას.

***— მაყურებლის ნაკლებობას არ უჩივით?***

— ნამდვილად არ ვუჩივი. ჩემი მაყურებელი არ დადის, მაგრამ არც ეს მწყინს.

***— თქვენს მაყურებელში ქართველებს გულისხმობთ?***

— რა თქმა უნდა. არ იციან პანტომიმა და რა ქნან? არ უჭამიათ ეს ხილი და რა ვქნა?



***— რატომ არ დადიან თქვენს თეატრში, რეკლამა გაკლიათ?***

— რეკლამა ნამდვილად არ გვაკლია, ჩვენ ყველა თეატრალურ სეზონს ქუჩაში ვხსნით, არ არის თბილისში ღონისძიება, რომელშიც პანტომიმის მსახიობები არ მონაწილეობენ. მეუბნებიან, შენ მიდიო, მე არ მივალ! მივწერე ბატონ პრემიერ-მინისტრს, რა მდგომარეობაა თეატრში. დიდი მადლობელი ვარ მისი, მისი წყალობით დღეს ვარსებობ, ის მეხმარება ისევე, როგორც ყველას. ჩვენს თეატრს არაფერში დახმარებია. ახლა გამოაცხადა, რომ ისევ რუსთაველის თეატრის რემონტს იწყებს, ისევ ოპერის რემონტს, ისევ მარჯანიშვილის რემონტს, მე არ ვუხსენებივარ.

***— არ გეწყინათ?***

— არავითარი წყენა არ მაქვს. მერე მივწერე უსუფაშვილს, რომ ასეთი მდგომარეობაა თეატრთან დაკავშირებით. დამირეკეს და მითხრეს, ბატონო ამირან, თქვენი თეატრი რა მისამართითააო. მითხრეს, რომ რეკავდნენ პარლამენტიდან და საქმეში გარკვევა სურდათ. ერთხელ დავურეკე ნინო ბურჯანაძის მდივანს და ვუთხარი, ამირანი ვარ შალიკაშვილი, პანტომიმის თეატრის ხელმძღვანელი და მიღებაზე თუ შეიძლება რომ ჩამწეროთ-მეთქი, დაიბნა ეს გოგო, პანტომიმის თეატრი არ გაგიგიათ-მეთქი და მიპასუხა, პანტომიმის თეატრი გამიგია, მაგრამ შალიკაშვილი არ გამიგიაო. დიდი მადლობა-მეთქი, დავკიდე ყურმილი და არც წავსულვარ მიღებაზე.

***— უსუფაშვილმა რა გადაწყვეტილება მიიღო?***

— უსუფაშვილმა გასცა განკარგულება, მათ მოძებნეს ჩემი მისამართი და პასუხი აღარ მივიღე. იცით, როგორ არის? არსებობს ისეთი საკითხები, რომელზეც შეიძლება არც გაამახვილო ყურადღება. რომ ვწერდე ჩემი ბინის ამბავზე ან ჩემს ყოფით პრობლემებზე, კიდევ გასაგებია, მაგრამ, როცა საქმე ეხება პანტომიმის სახელმწიფო თეატრს და მისი ხელმძღვანელი ვარ, ასეთი უყურადღებობა გაგონილა?

***— თქვენ სახელმწიფო თეატრი ხართ და მერიას რატომ ეკუთვნით?***

— ეს იყო გათამაშებული სანდრო მრევლიშვილის მიერ. სანდრომ აიღო და, როცა ზოდელავა იყო მერი, ის იყო მათი ძმაკაცი, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობარიც, ჩვენ გვისროლეს მერიაში, სანდრო გამოვარდა პარლამენტიდან და მეჩხუბა, კარგი, რა, ყველგან უნდა შეგვიშალო, იქ ბევრი ფულია და ფულს გავაკეთებთო. გააკეთა ფული, დახურა თავისი თეატრი და კიდევ „გლობუსს“ იძახის? რა „გლობუსი“, რის „გლობუსი“, ხალხო, შექსპირის თეატრს ინგლისი ვეღარ ინახავს.

***— თქვენ როგორ გირჩევნიათ, იყოთ მერიის დაქვემდებარებაში თუ კულტურის სამინისტროში?***

— ამჟამად ძალიან კმაყოფილი ვარ მერიის, ჩემებს აქვთ მოსათმენი ხელფასი, არიან მშვენივრად, მუშაობენ და ამას სამინისტრო, არ ვიცი, გამიკეთებს თუ არა. როცა ქაცარავა აღარ იქნება, წავალ კულტურის სამინისტროში.

***— მერიის დაქვემდებარებაში ქაცარავას გამო ხართ?***

— მამუკას მართლა გულთან ახლოს მიაქვს ჩვენი გასაჭირი და მაქსიმალურად გვეხმარება.

***— მერიამ გამოაცხადა სამხატვრო ხელმძღვანელის კონკურსი ახმეტელისა და პანტომიმის თეატრში.***

— ეს არის ანეკდოტი, მე უკვე არჩეული ვარ და დამთავრდა. ეს როგორ გაბედა?

***— ამას კანონი ავალდებულებდა.***

— არის კანონი, რომელსაც კანონი ემორჩილება, მაგრამ მე, ამირან შალიკაშვილს, არც ერთი კანონი არ მემორჩილება! თქვენ გქონდათ პანტომიმის თეატრი? არა! გაქვთ? ვინ შექმნა? ამირან შალიკაშვილმა! მორჩა, ამით ყველაფერია ნათქვამი.

***— თქვენ თქვენი კანდიდატურა არ წარგიდგენიათ ამ კონკურსში?***

— მომიტანეს საბუთები და მოვაწერე ხელი.

***— თქვენ გარდა თუ იყო ვინმე პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობის კონკურსში?***

— ხომ გითხარით, ეს უკვე ანეკდოტია-მეთქი. როგორც გავიგე, დამტკიცებული ვარ უკვე და ვარ პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. მიმაჩნია, რომ ერთი სიტყვაც არ უნდა ყოფილიყო ჩემზე ლაპარაკი, ამირჩიონ თუ არა პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად.

***— გამოდის, უალტერნატივო ხართ?***

— სხვანაირად არ გამოვა! ჩემთან არ შეიძლება! კომუნისტების დროს სამი კაცი ვიყავით საბჭოთა კავშირში, ეს იყო ტოვსტონოგოვი, ობრაზცოვი და ამირან შალიკაშვილი. მათ არავინ ეკითხებოდა გეგმას, ასრულებდა თუ არა, სპექტაკლებს დგამდა თუ არა.

***— თქვენს ნებაზე იყავით მიშვებული?***

— არა, ნებაზე არ ვიყავით მიშვებული, მაგრამ მაღალი განაკვეთი გვქონდა. სცენაზე რომ გამოვდიოდი, 27 მანეთი მქონდა გამოსვლაში, მარტო ლაპარაკში და რომ ვთამაშობდი, ის სხვა 27 მანეთი იყო, ამიტომ იყო, რომ თვეში 5 ათასი მქონდა. მაშინ დავთმე ეს ყველაფერი და წავედი სახელმწიფო თეატრში და 200 მანეთი დამინიშნეს, ყველაფრის საბუთები მაქვს შენახული. ჩემი თეატრი მოსკოვშია გახსნილი. ახმეტელის თეატრი ლერი პაქსაშვილმა გახსნა, ის და ოთარ ჩერქეზია ისხდნენ ერთ მერხზე, თათბირზე გამოვიდა ოთარი და ჩემზე თქვა, ეს რა ნაგავი გაგიხსნიათო და არავინ დამიცვა. ადგა გუგული ყიფიანი ფილარმონიის დირექტორი და იმან თქვა, ბოშო, რეებს ლაპარაკობთ, ვნახე ჩეხები, პოლონელები, ბულგარელები და ჩვენი თეატრი ყველას სჯობიაო და მაშინ გაჩერდნენ. კანონია ასეთი, რომ ნიჭიერება ყოველთვის უნდა იყოს დაჩაგრული და დაწიხლული. მე ასეთ მდგომარეობაში ვარ და საწყალი ბაბუაჩემიც ასე იყო, ის იყო რეალისტური დრამატული თეატრის ფუძემდებელი, მანამ კოტე მარჯანიშვილი ჩამოვიდოდა, ახმეტელი მაშინ ციხეში იჯდა, მან გაზარდა ჭიათურიდან მთელი თაობა, მათ შორის უშანგი ჩხეიძე და ბევრი ცნობილი ქართველი მსახიობი. ვუთხარი კიდეც თეატრალურ საზოგადოებას, ვალერიანის სურათი რა გაგიხდათ-მეთქი და მოიტანე და დაკიდეო. ვაი, თქვენს დღეს უბედურს, მაგას ვიკადრებ-მეთქი. აქ ძალიან ჩახლართული დამოკიდებულებაა, მაგრამ ჩემს გვარს რაც აქვს გაკეთებული საქართველოსთვის, ბევრს არ შეიძლება, რომ ჰქონდეს. მარტო ჯონ მალხაზ შალიკაშვილი ეყოფათ სალაპარაკოდ.

***— მარტო ლექციებს კითხულობთ პანტომიმის ხელოვნებაზე თუ სპექტაკლებსაც თამაშობთ?***

— ლვოვში ვერ ვითამაშე, ქუჩის გამოსვლა იყო. თბილისში ვთამაშობ, როცა ჩემი სპექტაკლებია, „დონ ჟუანს“ ვთამაშობ. ოქტომბერში მივდივართ რაჭაში, მიგვაქვს „ტერენტი გრანელი“, „წმინდა გიორგი“ და „ქრისტე“, საფინალოდ ჩემს პროგრამას ვითამაშებ.

***— ახალ სპექტაკლზე მუშაობთ?***

— ჯერჯერობით არა. მოფიქრებულია, ყველაფერი მზად მაქვს, მაგრამ რაღაც პირობებია ისეთი, რაც ხელს მიშლის. როცა თეატრი იწყებს სეზონს, ყველაფერი თავიდან იწყება. ზაფხულში თეატრი იშლება, მთელი შემოდგომა ფორმაში ჩადგომას უნდება და მერე ისევ იქოქება.

***— თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში მონაწილეობთ?***

— კი, ჩვენი თეატრშიც ჩართულია ამ ფესტივალში. ცოტა გამაღიზიანებელი რაღაც მოხდა, მაგრამ არა უშავს.

***— რა მოხდა?***

— გვაბრალებენ, რომ მოსაწვევი გამოგზავნეს, ჩვენ მოსაწვევი არ მიგვიღია, ეს ნაკლებად მაღელვებს. სულაც არ მადარდებს, რომ პარლამენტის წევრი არ ვარ და ღმერთმა დამიფაროს. ფესტივალის ქართულ პროგრამაში ვმონაწილეობთ და ამ სპექტაკლში მეც ვთამაშობ.

***— 75 წლის იუბილესთვის ემზადებით?***

— 75 წელი მომავალ წელს მისრულდება. რამდენიმე თვე არ ვიყავი კარგად, ახლა კიდევ ყოჩაღად ვლაპარაკობ. არავითარი იუბილე! მხოლოდ შეხვედრები! კარგ ლექსებს ვწერ, ჩემი მოგონებების მეოთხე წიგნი დასრულებულია და უკვე კორექტურას ვაკეთებ, ისიც მალე გამოვა. მგონია, რომ ჩემი საქმე უკვე მოვათავე, ვცხოვრობ, როგორც შეეფერება ხელოვანს, სხვა გზა არ მაქვს, უნდა ვიყო ის, რაც ვარ და არ ვიქნები ის, რაც არ ვარ. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს.

***— გასტროლები უკვე დაგეგმეთ?***

— კი, ჩვენ უნდა წავიდეთ ოდესაში, ჩვენთან იყვნენ ბაქოდან და ბაქოშიც წავალთ. ნელ-ნელა ავეწყობი საგასტროლო ცხოვრებაზე, ასე გადავწყვიტე. სხვანაირად არ შეიძლება, ჩვენმა თეატრმა უნდა იმოგზაუროს, ენის ბარიერი ჩვენ არ გვაქვს და დეკორაციების. გული მტკივა, რუსეთის მსახიობები რომ ჩამოვიდნენ და ჩვენთან არ მოიყვანეს. დალოცვილო, უთხარი, რა, რომ აქ ასეთი თეატრია. არ ესმით მათ ენა, მაგრამ მოქმედებით ხომ შეუძლიათ, გაიგონ რაზეა სპექტაკლი?! უცხოელებს არ ესმით ქართული სპექტაკლების ენა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის სპექტაკლები ცუდია, უბრალოდ, ენის არცოდნის გამო, მათი გაგება უჭირთ. ჩვენთან კი რომ მოდიან, აღარ მშორდებიან. პანტომიმა საერთაშორისო ხელოვნებაა, ყველასთვის გასაგები. ისეთი რამ მოვიგონე, რომ საუკუნეს გაუძლებს ეს თეატრი, მაგრამ ცუდად დაუჯდებათ ქართველებს, შალიკაშვილებს ვერ მოიშორებენ, სულ შალიკაშვილები იქნებიან. კარგები არიან თუ ცუდები არიან, ჩემი შვილები არიან, თუმცა, ხომ იცით, კარგი შვილი მამისთვის არც ერთი არ ყოფილა. დავით აღმაშენებლის მამას გაუმართლა, მას ჰყავდა დავით აღმაშენებელი.

***— თქვენს შვილებს ალმაცერად რატომ უყურებთ?***

— აბა, რა ვიცი, ჩემი შვილები როგორები იქნებიან, თუ კარგები არიან, თავისთვის არიან და თავისი ერისთვის არიან. შეიძლება, ყოველთვის მართალი არ ვიყო, მაგრამ...

***— ხომ გაგიგიათ, ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო.***

— მაგის არ მჯერა, ჩემი შვილი მე ვერ მაჯობებს! შვილი ყოველთვის შეეცდება, რომ აჯობოს მამას. ლექსიც კი მაქვს შვილებზე დაწერილი, რომელიც ასე ჟღერს: „მე ნაწყენი ვარ შვილებზე და არა ვირიშვილებზე!“

# ესპანეთში მადრიდული დერბია

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.09 | ტოტენჰემი-ჩელსი | 2.6 | 3.2 | 2.5 |
| 28.09 | მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი | 1.25 | 5.0 | 10.0 |
| 28.09 | ფულემი-კარდიფი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 28.09 | ჰალი-ვესტ ჰემი | 2.3 | 3.2 | 2.87 |
| 28.09 | საუთჰემპტონი-კრ.პალასი | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 28.09 | ასტონ ვილა-სიტი | 6.0 | 4.2 | 1.53 |
| 28.09 | სუონსი-არსენალი | 3.3 | 3.2 | 2.1 |
| 29.09 | სტოკი-ნორვიჩი | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 29.09 | სანდერლენდი-ლივერპული | 5.0 | 3.4 | 1.67 |
| 30.09 | ევერტონი-ნიუკასლი | 1.57 | 3.8 | 5.0 |

### ტოტენჰემი-ჩელსი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-იუნის ქაბული, დენი როუზი, ეტიენ კაპუ, აარონ ლენონი

ჩელსი: ***ტრავმ***-მარკო ვან გინკელი, რამირესი

### მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-რობინ ვან პერსი, ფილ ჯონსი, რაფაელი, დარენ ფლეტჩერი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-კრის ბრუნტი, შონ ლონგი, მატე ვიდრა, ბენ ფოსტერი, ზოლტან გერა

### ფულემი-კარდიფი

ფულემი: ***ტრავმ***-ბრაიან რუისი, მეტიუ ბრიგი, აარონ ჰაგესი, მარტინ სტეკელენბურგი

კარდიფი: ***ტრავმ***-ანდრეას კორნელიუსი

### ჰალი-ვესტ ჰემი

ჰალი: ***ტრავმ***-ჯეიმს ჩესტერი, რობი ბრეიდი, მაინორ ფიგუერა, რობერტ კორენი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯო კოული, გიუ დემელი, შტიუარტ დაუნინგი, ალუ დიარა, ენდი კეროლი

### საუთჰემპტონი-კრ.პალასი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-არავინ

კრ.პალასი: ***ტრავმ***-დემიენ დელანი, ჯოელ ვორდი, ჯონათან ულიამსი

### ასტონ ვილა-სიტი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-კრისტიან ბენტეკე, გაბრიელ აგბონლაჰორი, ეშლი ვესტვუდი, იორის ოკორე, ჩარლზ ნზოგბია

სიტი: ***ტრავმ***-ჯეკ როდველი, დავიდ სილვა, მარტინ დემიკელისი

### სუონსი-არსენალი

სუონსი: ***ტრავმ***-ეშლი უილიამსი, პაბლო ერნანდესი

არსენალი: ***ტრავმ***-ლუკაშ ფაბიანსკი, ტეო უოლკოტი, სანტი კაზორლა, იაია სანოგო, ტომაშ როსიცკი, ლუკას პოდოლსკი, ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, აბუ დიაბი

### სტოკი-ნორვიჩი

სტოკი: ***ტრავმ***-ერიკ პეტერსი, გლენ ველანი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-სებასტიან ბანსონგი, რიკი ვან ვოლფსვინკელი, ელიოტ ბენუა

### სანდერლენდი-ლივერპული

სანდერლენდი: ***ტრავმ***-სტივენ ფლეტჩერი, ანდრეა დოსენა, ფილ ბიორდსლი, ვესლი ბრაუნი

ლივერპული: ***ტრავმ***-დანიელ აგერი, კოუტინიუ, გლენ ჯონსონი, ალი სისოკო

### ევერტონი-ნიუკასლი

ევერტონი: ***ტრავმ***-ლეონ ოსმანი, სტივენ პიენაარი, არუნა კონე, ანტოლინ ალკარაზი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-იოან კაბაიე, შოლა ამეობი, სტივენ ტეილორი, გაბრიელ ობერტანი, იონას გუტიერესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:6 | 12 |
| 2.ტოტენჰემი | 5 | 4 | 0 | 1 | 5:1 | 12 |
| 3.სიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:4 | 10 |
| 4.ჩელსი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:2 | 10 |
| 5.ლივერპული | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| 6.ევერტონი | 5 | 2 | 3 | 0 | 6:4 | 9 |
| 7.საუთჰემპტონი | 5 | 2 | 2 | 1 | 3:2 | 8 |
| 8.მანჩესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| 9.სუონსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| 10.სტოკი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | 7 |
| 11.ნიუკასლი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| 12.ჰალი | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | 7 |
| 13.ასტონ ვილა | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| 14.ვესტ ჰემი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 |
| 15.ვესტ ბრომვიჩი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:4 | 5 |
| 16.კარდიფი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| 17.ნორვიჩი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| 18.ფულემი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| 19.კრ.პალასი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| 20.სანდერლენდი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.09 | ვალენსია-რაიო | 1.33 | 5.5 | 8.0 |
| 28.09 | ალმერია-ბარსელონა | 13.0 | 7.5 | 1.17 |
| 28.09 | სოსიედადი-სევილია | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 28.09 | რეალი-ატლეტიკო | 1.67 | 4.2 | 4.5 |
| 29.09 | ოსასუნა-ლევანტე | 2.1 | 3.1 | 3.8 |
| 29.09 | სელტა-ელჩე | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 29.09 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.8 | 3.5 | 4.6 |
| 29.09 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 30.09 | გრანადა-ბილბაო | 2.8 | 3.3 | 2.5 |

### ვალენსია-რაიო

ვალენსია: ***ტრავმ***-რიკარდო კოსტა

რაიო: ***ტრავმ***-იაგო ფალკი, ხოსე კარლოსი

### ალმერია-ბარსელონა

ალმერია: ***ტრავმ***-არავინ

ბარსელონა: ***ტრავმ***-სესკ ფაბრეგასი, ხორდი ალბა, იბრაჰიმ აფელაი, ისააკ კუენკა, კარლეს პუიოლი



### სოსიედადი-სევილია

სოსიედადი: ***ტრავმ***-დავიდ ზურუზუტა, ესტებან გრანერო, გორკა ელუსტუნდო, კარლოს მარტინესი, დიეგო იფრანი

სევილია: ***ტრავმ***-ვიტოლო, ფედერიკო ფაციო, სისინიო

### რეალი-ატლეტიკო

რეალი: ***ტრავმ***-გარეთ ბეილი, მარსელო, ხაბი ალონსო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ადრიანი

### ოსასუნა-ლევანტე

ოსასუნა: ***ტრავმ***-რობერტო ტორესი, ალვარო ჩეუდო, მიგელ დე ლას კუევასი, ნინო

ლევანტე: ***ტრავმ***-ნაბილ ელ ზარი

### სელტა-ელჩე

სელტა: ***ტრავმ***-ნოლიტო, სამუელ ლორკა

ელჩე: ***ტრავმ***-კრისტიან საპურანუ, ერხიო პელეგრინი

### ესპანიოლი-ხეტაფე

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხუან რაფაელ ფუენტესი, ვიქტორ ალვარესი

ხეტაფე: ***ტრავმ***-ლაფიტა, ვალერა, მეჰდი ლაკენი

### ბეტისი-ვილიარეალი

ბეტისი: ***ტრავმ***-რუბენ კასტრო, ედერ ვილარჩაო

ვილიარეალი: ***ტრავმ***-ფრანსისკო ფარინოსი

### გრანადა-ბილბაო

გრანადა: ***ტრავმ***-მაინცი, პიტი

ბილბაო: ***ტრავმ***-ენრიკ საბორი, მიკელ ბალენზიაგა, კიკე სოლა, ბორხა ეზიკა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 6 | 6 | 0 | 0 | 22:5 | 18 |
| 2.ატლეტიკო | 6 | 6 | 0 | 0 | 18:5 | 18 |
| 3.რეალი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:6 | 16 |
| 4.ვილიარეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:6 | 14 |
| 5.ბილბაო | 6 | 4 | 0 | 2 | 12:10 | 12 |
| 6.ესპანიოლი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| 7.ვალენსია | 6 | 3 | 0 | 3 | 9:10 | 9 |
| 8.მალაგა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:4 | 8 |
| 9.ხეტაფე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| 10.ლევანტე | 6 | 1 | 4 | 1 | 5:11 | 7 |
| 11.სოსიედადი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:7 | 6 |
| 12.სელტა | 6 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| 13.ბეტისი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | 5 |
| 14.სევილია | 6 | 1 | 2 | 3 | 10:12 | 5 |
| 15.გრანადა | 6 | 1 | 2 | 3 | 3:5 | 5 |
| 16.ვალიადოლიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| 17.ელჩე | 6 | 0 | 3 | 3 | 5:10 | 3 |
| 18.ალმერია | 6 | 0 | 3 | 3 | 10:15 | 3 |
| 19.ოსასუნა | 6 | 1 | 0 | 5 | 5:12 | 3 |
| 20.რაიო | 6 | 1 | 0 | 5 | 5:20 | 3 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.09 | ჯენოა-ნაპოლი | 4.5 | 3.75 | 1.75 |
| 28.09 | მილანი-სამპდორია | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 29.09 | ტორინო-იუვენტუსი | 5.5 | 4.0 | 1.6 |
| 29.09 | ატალანტა-უდინეზე | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 29.09 | სასუოლო-ლაციო | 4.4 | 3.6 | 1.8 |
| 29.09 | კალიარი-ინტერი | 3.6 | 3.4 | 2.05 |
| 29.09 | ვერონა-ლივორნო | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 29.09 | კატანია-კიევო | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 29.09 | რომა-ბოლონია | 1.36 | 4.75 | 8.5 |
| 30.09 | ფიორენტინა-პარმა | 1.6 | 4.0 | 5.5 |

### ჯენოა-ნაპოლი

ჯენოა: ***ტრავმ***-ტომას მანფრედინი, იურაი კუჩკა, ლუკა ანტონელი

ნაპოლი: ***ტრავმ***-კრისტიან მაჯო

### მილანი-სამპდორია

მილანი: ***ტრავმ***-რიკარდო მონტოლივო, კაკა, შტეფან ელ შაარავი, მატიას სილვესტრი, დანიელ ბონერა, ჯამპაოლო პაცინი

სამპდორია: ***ტრავმ***-მანოლო გაბიადინი, რენანი, ნიკოლა პოცი, ედერი

### ტორინო-იუვენტუსი

ტორინო: ***ტრავმ***-მარსელო ლარონდო, გილერმო როდრიგესი, ალესანდრო გაცი

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მარტინ კასერესი, სიმონე პეპე

### ატალანტა-უდინეზე

ატალანტა: ***ტრავმ***-რიკარდო კაზორლა

უდინეზე: ***ტრავმ***-მაურისიო დომიცი

### სასუოლო-ლაციო

სასუოლო: ***ტრავმ***-მარსელო გაზოლა, ემანუელ ტერანოვა

ლაციო: ***ტრავმ***-მიროსლავ კლოზე, აბდულაიე კონკო, დიეგო ნოვარეტი, ჯუზეპე ბიავა, ლუკას ბიგლია, შტეფან რადუ, სტეფანო მაური

### კალიარი-ინტერი

კალიარი: ***ტრავმ***-ანდრეა კოსუ

ინტერი: ***ტრავმ***-გაბი მუდინგაი, მაკდონალდ მარიგა, კრისტიან კივუ, ხავიერ ძანეტი

### ვერონა-ლივორნო

ვერონა: ***ტრავმ***-რაფაელ მარტინიო, გომენიკო მაიეტა, ლუკა ტონი, მიქელანჯელო ალბერტაცი

ლივორნო: ***ტრავმ***-მარკო ბიანტი

### კატანია-კიევო

კატანია: ***ტრავმ***-სებასტიან ლეტო, გონსალო ბერგესიო, ლუკას კასტრო, მარიანო ისკო

კიევო: ***ტრავმ***-დარიო დაინელი, რობერტო გუანა

### რომა-ბოლონია

რომა: ***ტრავმ***-მაიკლ ბრედლი, მატია დესტრო

ბოლონია: ***ტრავმ***-რენე კრინი, ნიკოლო ჩებურინი

### ფიორენტინა-პარმა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-ოლექსანდრ იაკოვენკო, მარიო გომესი, ხუან გუარდადო, იოსიპ ილიჩიჩი, აჰმედ ეგაზი

პარმა: ***ტრავმ***-დანიელე გალოპა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 5 | 5 | 0 | 0 | 12:1 | 15 |
| 2.ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:2 | 13 |
| 3.ნაპოლი | 5 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 |
| 4.იუვენტუსი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| 5.ფიორენტინა | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| 6.ლაციო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:8 | 9 |
| 7.ლივორნო | 5 | 2 | 2 | 1 | 7:4 | 8 |
| 8.ტორინო | 5 | 2 | 2 | 1 | 8:7 | 8 |
| 9.უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 7:6 | 7 |
| 10.ვერონა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| 11.კალიარი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:8 | 6 |
| 12.მილანი | 5 | 1 | 2 | 2 | 10:10 | 5 |
| 13.პარმა | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | 5 |
| 14.ჯენოა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | 4 |
| 15.კიევო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| 16.ატალანტა | 5 | 1 | 0 | 4 | 6:10 | 3 |
| 17.ბოლონია | 5 | 0 | 3 | 2 | 7:11 | 3 |
| 18.სამპდორია | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |
| 19.კატანია | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |
| 20.სასუოლო | 5 | 0 | 1 | 4 | 2:16 | 1 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.09 | დორტმუნდი-ფრაიბურგი | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 28.09 | ჰერტა-მაინცი | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 28.09 | ბაიერნი-ვოლფსბურგი | 1.17 | 7.5 | 13.0 |
| 28.09 | ჰოფენჰაიმი-შალკე | 2.7 | 3.6 | 2.45 |
| 28.09 | ლევერკუზენი-ჰანოვერი | 1.36 | 5.0 | 8.0 |
| 28.09 | აინტრახტი-ჰამბურგი | 1.83 | 3.4 | 4.0 |
| 29.09 | ვერდერი-ნიურნბერგი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 29.09 | ბრაუნშვაიგი-შტუტგარტი | 3.6 | 3.5 | 2.0 |

### დორტმუნდი-ფრაიბურგი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სებასტიან კელი, ილკაი გუნდოგანი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მენსურ მუჯდა, ვაცლავ პილარი

### ჰერტა-მაინცი

ჰერტა: ***ტრავმ***-ალექსანდერ ბაუმოანი, მარსელ ნდიენგი

მაინცი: ***ტრავმ***-ნიკო ბუნგერტი, ნიკი ზიმლინგი, შონ პარკერი

### ბაიერნი-ვოლფსბურგი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ხავი მარტინესი, ტიაგო ალკანტარა, ჰოლგერ ბადშტურბერი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-არავინ

### ჰოფენჰაიმი-შალკე

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-მეტიუ დელპიერი, ტობიას ვეისი, ბორის ვუკჩევიჩი, ტიმ ვიზე

შალკე: ***ტრავმ***-კრისტიან ფუჩსი, ტიმ ჰოოგლანდი, კლაას-იან ჰუნტელაარი, კირიაკოს პაპადოპულოსი, ჩინედი ობასი, ანტონი ანანი

### ლევერკუზენი-ჰანოვერი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-იენს ჰეგელერი, გონსალო კასტრო

ჰანოვერი: ***ტრავმ***-კრისტიან პანდერი, სტივენ ჩერუნდოლო

### აინტრახტი-ჰამბურგი

აინტრახტი: ***ტრავმ***-ალექსანდერ მეიერი, ბასტიან ოკზიპკა, იან როზენტალი, პირმინ შვეგლერი

ჰამბურგი: ***ტრავმ***-დენის დიკმეიერი, გოიკო კაჩარი

### ვერდერი-ნიურნბერგი

ვერდერი: ***ტრავმ***-ზლატკო იუზონოვიჩი, ალექსანდერ სტევანოვიჩი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ნანო ბალიტჩი, ტიმო გებჰარტი

### ბრაუნშვაიგი-შტუტგარტი

ბრაუნშვაიგი: ***ტრავმ***-იან ჰოშეიდტი, მარსელ კორეია

შტუტგარტი: ***ტრავმ***-მორის ლეიტნერი, დანიელ დიდავი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:5 | 16 |
| 2.ბაიერნი | 6 | 5 | 1 | 0 | 13:2 | 16 |
| 3.ლევერკუზენი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:7 | 15 |
| 4.გლადბახი | 6 | 3 | 0 | 3 | 15:11 | 9 |
| 5.ჰანოვერი | 6 | 4 | 0 | 2 | 10:8 | 9 |
| 6.ვოლფსბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| 7.მაინცი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:12 | 9 |
| 8.აუგსბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 6:9 | 9 |
| 9.ვერდერი | 6 | 3 | 0 | 3 | 5:8 | 9 |
| 10.ჰერტა | 6 | 2 | 2 | 2 | 10:7 | 8 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 6 | 2 | 2 | 2 | 15:15 | 8 |
| 12.შტუტგარტი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:9 | 7 |
| 13.აინტრახტი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | 7 |
| 14.შალკე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:13 | 7 |
| 15.ჰამბურგი | 6 | 1 | 1 | 4 | 10:17 | 4 |
| 16.ნიურნბერგი | 6 | 0 | 4 | 2 | 6:9 | 4 |
| 17.ფრაიბურგი | 6 | 0 | 3 | 3 | 8:12 | 2 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:14 | 1 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 28.09 | ლორიენი-მარსელი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 28.09 | პსჟ-ტულუზა | 1.28 | 5.0 | 12.0 |
| 28.09 | სოშო-ვალანსიენი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 28.09 | ლიონი-ლილი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 28.09 | სტ.ეტიენი-ბასტია | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 28.09 | ევიანი-ბორდო | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 28.09 | ნიცა-გენგამი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 29.09 | რენი-ნანტი | 2.0 | 3.25 | 4.0 |
| 29.09 | აიაჩო-მონპელიე | 2.9 | 3.2 | 1.5 |
| 29.09 | რეიმსი-მონაკო | 5.5 | 3.6 | 1.67 |

### ლორიენი-მარსელი

ლორიენი: ***ტრავმ***-ჟილ სუნუ, მაქსიმ ბარტელმი, ლამინე კონე, ალან ტრაორე, ჯერემი ალიადიერი

მარსელი: ***ტრავმ***-დიმიტრი პოე

### პსჟ-ტულუზა

პსჟ: ***ტრავმ***-ტიაგო სილვა

ტულუზა: ***ტრავმ***-ჟან-დანიელ აკპა აკპრო, ედენ ბენ ბასატი

### სოშო-ვალანსიენი

სოშო: ***ტრავმ***-ედუარდ ბუტინი

ვალანსიენი: ***ტრავმ***-მარკო და სილვა, ლორის ნერი

### ლიონი-ლილი

ლიონი: ***ტრავმ***-მილან ბისევაჩი, ანტონი ლოპესი, მუჰამადუ დაბო, იოან გურკუფი, გაელ დანიჩი

ლილი: ***ტრავმ***-რაიან მენდესი, ტულიო დე მელო

### სტ.ეტიენი-ბასტია

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ლოიკ პერინი, იდრის საადი, ჯონათან ბრისონი, ბრანდაო

ბასტია: ***ტრავმ***-არავინ

### ევიანი-ბორდო

ევიანი: ***ტრავმ***-ფაბრის ერე, მარკო რუბენი

ბორდო: ***ტრავმ***-ანდრე ბიოგო პოკო, ჟულიენ ფობერი

### ნიცა-გენგამი

ნიცა: ***ტრავმ***-ჯერემი პიდი, ვალენტინ ესერიჩი, მაჰამანე ტრაორე, ლუიჯი ბრუინსი, ხავიერ პენტეკოტე

გენგამი: ***ტრავმ***-მამადუ სამასა, მარტინს პერეირა

### რენი-ნანტი

რენი: ***ტრავმ***-ჯონ ბოიე, სტივენ მორეირა

ნანტი: ***ტრავმ***-ოლივიე ვინო, ბანელ ნიკოლიტა, გაბრიელ ჩიჩერო, იოან ედელინი

### აიაჩო-მონპელიე

აიაჩო: ***ტრავმ***-ჯუნიორ ტალო, გრენდი პეროზო, დენის ოლიეხი, რიკარდო ფატი

მონპელიე: ***ტრავმ***-ქარიმ აიტ-ფანა, გარი ბოკალი

### რეიმსი-მონაკო

რეიმსი: ***ტრავმ***-კრისტოფერ გლომბარდი, აისა მანდიფრანკ სინორინო

მონაკო: ***ტრავმ***-ჯერემი ტულალანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 7 | 5 | 2 | 0 | 13:3 | 17 |
| 2.პსჟ | 7 | 4 | 3 | 0 | 10:4 | 15 |
| 3.მარსელი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:5 | 14 |
| 4.ლილი | 7 | 4 | 1 | 2 | 8:4 | 13 |
| 5.სტ.ეტიენი | 7 | 4 | 0 | 3 | 9:7 | 12 |
| 6.რენი | 7 | 3 | 3 | 1 | 7:5 | 12 |
| 7.ნიცა | 7 | 3 | 2 | 2 | 10:9 | 11 |
| 8.ლიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:7 | 10 |
| 9.ნანტი | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 10 |
| 10.რეიმსი | 7 | 2 | 4 | 1 | 5:4 | 10 |
| 11.ტულუზა | 7 | 2 | 3 | 2 | 6:8 | 9 |
| 12.გენგამი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:9 | 8 |
| 13.მონპელიე | 7 | 1 | 5 | 1 | 8:10 | 8 |
| 14.ბასტია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | 8 |
| 15.ევიანი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| 16.ლორიენი | 7 | 2 | 1 | 4 | 6:9 | 7 |
| 17.ბორდო | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| 18.აიაჩო | 7 | 1 | 3 | 3 | 6:8 | 6 |
| 19.ვალანსიენი | 7 | 1 | 0 | 6 | 4:12 | 3 |
| 20.სოშო | 7 | 0 | 2 | 5 | 4:14 | 2 |

# ანდრეს კარასკო: ჯერჯერობით, ადაპტაციის პერიოდი მაქვს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კლუბია, რაც წარმომედგინა. ორი თვეა მწვრთნელებთან და კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად ვმუშაობ და ყველანი კმაყოფილები ვართ. აქ ყველა ერთმანეთის გვერდში დგას, ჩვენ ყველა ერთ საქმეს ვემსახურებით, ჯანსაღი და სასიამოვნო ატმოსფეროა. ჯერჯერობით, ადაპტაციის პერიოდი მაქვს, მაგრამ ეს დროც მალე გაივლის.

***—ბავშვებთან ახლო შეხება გაქვთ, რა კომპონენტში სჭირდებათ პატარებს მოძლიერება?***

— არა მარტო ბავშვებს, არამედ ჩვენ, მწვრთნელებსაც ბევრი რამ გვაქვს გასაუმჯობესებელი. ფეხბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადაყვანა პრობლემა არ უნდა იყოს, ერთი სისტემა გვაქვს და მჯერა ეს პრობლემა არ იქნება. ჩვენთან ყველანაირი პირობაა, რომ ბავშვმა საუკეთესო პირობებში ივარჯიშოს და მხოლოდ საწვრთნელ პროცესზე იზრუნოს. ნელ-ნელა ვხვეწავთ სისტემას და იმედი მაქვს, ყველაფერი ეტაპობრივად მოხდება. ჩვენ გამორჩეული ბავშვებიც გვყავს, რომლებსაც კონტრაქტებიც აქვთ გაფორმებული, ხელფასებსაც ვუხდით და შეიძლება ითქვას, ყველა პირობა აქვთ. თუმცა, იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც ხელფასები არა აქვთ, სწავლება იგივე აქვთ და არც ყურადღების ნაკლებობას უჩივიან.

***— ბავშვი რომ განვითარდეს და სწორი მიმართულება ჰქონდეს, კვალიფიკაციური მწვრთნელთა კადრია საჭირო. ამ მიმართულებით, „საბურთალოში“ რა მდგომარეობაა?***

— ძალიან კარგი სამწვრთნელო გუნდი გვყავს, განათლებულები და დახვეწილები, თუმცა მათგან ყოველთვის მეტს ვითხოვ. მწვრთნელმა უნდა აითვისოს ის, რასაც ვასწავლი. ჩემებური ხედვა მაქვს, „საბურთალოს“ ფილოსოფია მარტო ჩვენ გვაქვს და სხვას არავის. ჩამოვაყალიბეთ მწვრთნელების ჯგუფი (მეთოდოლოგიის დეპარტამენტი), სადაც კვირაში ორჯერ ვიკრიბებით და მწვრთნელები ჩემთან გადიან სწავლებას. შემდეგ უკვე ისინი სხვა კოლეგებს გაუზიარებენ ცოდნას. „საბურთალოს“ საფეხბურთო ცხოვრება მარტო მინდორზე არ ხდება, ჩვენ მინდვრის გარეთაც ვმეგობრობთ და ძალიან დიდ დროს ვატარებთ ერთად.

***—რეალურად თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში ორი დიდი სკოლაა, რომლებიც ერთმანეთის კონკურენტები არიან — „საბურთალო“ და „დინამო“, დანარჩენებს უჭირთ კონკურენციის გაწევა. ასეთ პირობებში, სხვა სკოლებში რამდენად გაიზრდებიან ნიჭიერი ბავშვები?***

— ძალიან ბევრი ბავშვი მოდის ჩვენს სკოლაში სასწავლებლად, რადგანაც აქ გამორჩეული პირობებია, განსხვავებული სწავლებაა და სწორი მიდგომაა ფეხბურთისადმი. მხოლოდ ინფრასტრუქტურა არაა მთავარი, კარგ პირობებთან ერთად, სწორი სწავლებაც საჭიროა, სხვანაირად შედეგს ვერანაირად ვერ მოვიმკით. სასიხარულოა, რომ სხვადასხვა სკოლებიდან მოდიან ბავშვები და ჩვენთან სურთ ფეხბურთის სწავლება. ამასთანავე, დიდ ყურადღებას ვაქცევთ განათლებას, ინტელექტს...

***—უკვე რამდენიმე დღეა, რაც 1999 წელს დაბადებული ჭაბუკები, საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობენ. მომავალში რომელიმე ასაკში, მსგავს დიდ ტურნირზე გამგზავრება ხომ არ იგეგმება?***

— პატარა ფეხბურთელები უდიდეს გამოცდილებას იღებენ, რაც მომავალში უთუოდ წაადგებათ. უცხოურ გუნდებთან ძალების მოსინჯვა ყოველთვის საინტერესოა. რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას ვაქცევთ მსგავს ტურნირებს, იმედი მაქვს, კიდევ მოგვძებნიან სხვადასხვა ქვეყნიდან კლუბები და ჩვენც სიამოვნებით მივიღებთ შეთავაზებას.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში პატიმარი დენის ყვარელაშვილი გარდაიცვალა

თბილისში, ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში პატიმარი დენის ყვარელაშვილი გარდაიცვალა.

როგორც ,,მედიანიუსს" ადვოკატმა მამუკა ნოზაძემ განუცხადა, პატიმრის გარდაცვალებაში ბრალი სასჯელაღსრულების სამინისტროს მიუძღვის, რადგან ყვარელაშვილს ადეკვატური მკურნალობა არ უტარდებოდა.

„27 სექტემბერს, დილით პატიმარი გადაყვანილი იქნა ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში, სადაც გარდაიცვალა. ეს ადამიანი მძიმე ავადმყოფი იყო. დენის ყვარელაშვილი არაერთხელ გახდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი არა მხოლოდ ყოფილი ხელისუფლების, არამედ ახალი ხელისუფლების დროსაც. ამაზე ახალმა ხელისუფლებამ არანაირი ზომები არ მიიღო. ევროპულ სასამართლოში დასრულებულია მისი საქმის განხილვა და ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა საქართველოს მთავრობას, რომ ამ ადამიანს ჩატარებოდა ადეკვატური მკურნალობა. მას არც ერთხელ არ ჩატარებია ადეკვატური მკურნალობა. ახალ ხელისუფლებას მორიგებაც კი შევთავაზეთ, მაგრამ ამაზე არ წამოვიდა. არც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო გადაუვადეს სასჯელი, არც ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, არც მედიკამენტებს აძლევდნენ და მის გაჭირვებულ ოჯახს უხდებოდა მედიკამენტების მიწოდება. მე ბრალს ვდებ ახალ ხელისუფლებას ამ ადამიანის მიზანმიმართულ სიკვდილში", — აღნიშნა მამუკა ნოზაძემ.

მისი თქმით, პატიმარზე ზეწოლას მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორი ახდენდა.

„მასზე ზეწოლას ახდენდა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორი. ამის თაობაზე მასაც და მის მეუღლესაც არაერთხელ აქვთ საჩივარი შეტანილი სასჯელაღსრულების სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში. ჩვენ ყველა მტკიცებულება გვაქვს იმის, რასაც ვამბობთ", — აღნიშნა ნოზაძემ.

როგორც ადვოკატი აცხადებს, გარდაცვლილი პატიმარი ჩ ჰეპატიტით და ღვიძლის ფიბროზით იყო დაავადებული.

სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტრო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადებას უახლოეს პერიოდში გაავრცელებს.

**მედიანიუსი**

# ნიუ-იორკში ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ იმსჯელეს



ნიუ-იორკში გაეროს შტაბბინაში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკება გაიმართა.

ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს მოჰამედ ჯავად ზარიფს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ, ჩინელი, რუსი, დიდი ბრიტანელი, ფრანგი და გერმანელი დიპლომატები.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკების მორიგი რაუნდი 15 ოქტომბერს, ჟენევაში გაიმართება.

ცოტა ხნის წინ ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანმა განაცხადა, რომ მას აუცილებლად მიაჩნია, ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა უახლოესი თვეების განმავლობაში მოხდეს.

აღსანიშნავია, რომ ნიუ იორკის შეხვედრა პირველი უმაღლესი რანგის კომუნიკაციაა ბოლო ექვსი წლის მანძილზე ვაშინგტონსა და თეირანს შორის. შეხვედრას ევროკავშირის უმაღლესმა საგარეო საქმეთა კოორდინატორმა ქეტრინ ეშტონმა უმასპინძლა.

**გ. მ.**

# ესპანეთში სიესტაზე უარს ამბობენ



ესპანეთმა შეიძლება მალე უარი თქვას სიესტაზე და „ახალ" სამუშაო დღეზე გადავიდეს – დილის 9-დან, საღამოს ხუთ საათამდე, წერს „გარდიანი". ცალკეულ პერიოდებად დაყოფილი ახლანდელი სამუშაო დღე, მოქალაქეებისთვის ზედმეტად ხანგრძლივია.

ცვლილებებით გამოდის სპეციალური საპარლამენტო კომისია, რომელსაც ასევე დროის ერთი საათით უკან გადაყვანა სურს და იმავე საათობრივ სარტყელში გადასვლა, რომელშიც დიდი ბრიტანეთია. კომისიამ შენიშნა, რომ ესპანეთში სამუშაო დღე უფრო გრძელია, ვიდრე გერმანიაში, ხოლო მუდმივი დაღლილობის გამო, მუშაკების პროდუქტიულობა გაცილებით დაბალია და ამ ყველაფერში დამნაშავეა სიესტა და არასწორი საათობრივი სარტყელი.

ამჟამად ესპანეთი საშუალო ევროპული დროით ცხოვრობს. ყველაფერი ისტორიული ანომალიიდან დაიწყო. 1942 წელს, ესპანეთის მაშინდელმა დიქტატორმა, გენერალმა ფრანკომ, მთელი ქვეყანა გერმანიის საათობრივ სარტყელში გადაიყვანა, ფაშისტ მოკავშირეებთან სოლიდარობის ნიშნად.

შედეგად, ესპანელები სადილობენ დღის ორ საათზე, ხოლო ვახშმობენ საღამოს ცხრაზე. ამასთან, მათი სამუშაო დღე იწყება არა ათ საათზე, ლოგიკურად როგორც უნდა ყოფილიყო. რადგან დაგვიანებულ ვახშმამდე ვერავინ ძლებს, სადილის შემდეგ ადამიანებს დიდი შესვენება სჭირდებათ. ასე რომ, დრო სიესტაზე იკარგება და ადამიანები გვიანობამდე მუშაობენ.

ასეთი რეჟიმის გამო, ტელეარხებმა ყველაზე პოპულარული ტელეშოუების ჩვენება ღამის ათის შემდეგ დაიწყეს, რადგან მხოლოდ მაშინ არის ყველა სახლში. საფეხბურთო მატჩები ზოგჯერ ღამის 11 საათზე იწყება. ადამიანები ძალიან გვიან წვებიან დასაძინებლად, ადრე დგებიან და შუადღეს ისევ სიესტას უთმობენ.

**გ. მ.**

# სირიაზე გაეროს რეზოლუცია შესაძლოა დღეს მიიღონ

რუსეთმა და ამერიკამ სირიის ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით რეზოლუციის პროექტი შეათანხმეს. პროექტი გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე უკვე განიხილეს. დოკუმენტის ტექსტს მხარეები ორი კვირის განმავლობაში ათანხმებდნენ. რეზოლუციის პროექტზე ხმის მიცემა, შესაძლოა, დღეს საღამოს გაიმართოს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, რეზოლუციის პროექტი მასში მოცემული პირობების დარღვევის შემთხვევაში ძალის გამოყენებას არ გულისხმობს. „ბი-ბი-სის" ინფორმაციით, პროექტში სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენება დაგმობილია, თუმცა მასზე პასუხისმგებლობა კონფლიქტის არც ერთ მხარეს არ ეკისრება.

სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი არ გამორიცხავს, რომ ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით მიღწეულ გეგმაზე თანხმობის მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატები დამასკოს წინააღმდეგ სამხედრო იერიშს განახორციელებს. ვენესუელის ტელესურის ტელევიზიასთან საუბრისას, სირიის პრეზიდენტმა გაიმეორა, რომ მისი მთავრობა ამერიკა-რუსეთის გეგმის ერთგულია. ამ გეგმის დეტალებს ამ ეტაპზე გაეროს უშიშროების საბჭო ამუშავებს.

**გ. მ.**




## განცხადებები

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიზროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# TV პროგრამა

## ორშაბათი 30 სექტემბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 09.10 საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" 10.15 მხ.ფ "**ოქროს კომპასი**" 12.40 მხ.ფ "ქალი კატა" (ჰ. ბერი) 14.30 ტ.სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 საქართველოს გუნდური ჩემპიონატის ფინალი ქართულ ჭიდაობაში (პ/რ) 17.55 ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ 22.20 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 "საფეხბურთო მიმოხილვა" 00.20 ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**გოგონა წყლიდან**"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "რომი" 08.30 მხ/ფ "**მზის ჩასვლამდე**" (ჯ.დელპი) 10.00 მხ/ფ "**ველური ველური ვესტი**"(ს.ჰაიეკი) 12.00 მხ/ფ "**თქვენთვის წერილია**" (მ. რაიანი) 14.00, 21.30 "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00", 20.00, 01.00 ქრონიკა 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.25, 12.05 სერ. "**ცივი გული**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40, 15.05 ფულთან თამაში (28.09.13 გ/ჩ) 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50, 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 21.50 თოქ შოუ: თეა სიჭინავა— პოლიტიკის დრო (პ/ე) 23.30 გათამაშება — კარფური (პ/ე) 23.45 **უქუკაუტსნ** 00.35, 01.10 მხ/ფ "**მკვდარი პოეტების საზოგადოება**" (ე. ჰოუკი))

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) 17.00 სერ. "**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 მხ/ფ "**ლომა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ცისფერი მთები**" 13.35 ქართული მულტფილმი 13.50 დოკ/ფ "გელინო" I ნაწ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.00 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - "**შავი ზღვის პირას რაღაც ჩვენთვის უცნობი ქვეყანა**" 16.40 კონცერტი - გიზი ამირეჯიბის საღამო "ბრავო, მაესტრო" 18.10 დიდ ხარ შენ, უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**ბატონი ავანტურისტები**" 20.40 ძილი ნებისა 21.15 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ "იალაღობა აჭარაში" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. II 23.40 დოკ/ფ "კადრს მიღმა" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** 12.50, 6.45 ფარული კამერა 17.45, 21.30, 0.30, 4.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.05, 1.30, 5.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) 19.00 **სერიალი "ასი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.)

## სამშაბათი 1 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 09.10 საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" 10.15 მხ/ფ "**სურვილების ქვა**" 12.40 მხ/ფ "**უკანასკნელი საზღვარი**" 14.30 ტ.სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 17.55 ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" 19.00 "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. (პ/რ) შესვენებისას: "მოამბე" ღამის გამოშვება 00.40 ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**გველები თვითმფრინავში**" ( ელ ჯექსონი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "ეპიცენტრი" (ორშ. გ/ჩვ) 14.00" 16.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 30 გადაცემა (პ/ე)

07.30 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა 08.05" 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.25" 12.05 სერ. "**ცივი გული**" 12.30,13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40, 15.05 კონცერტი: "თამარ გვერდწითელი — ვარსკვლავის გახსნა" მე—2 ნაწილი (გ/ჩ) 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50, 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 12 სერ. 21.50 ახალი ქართული ხმა 00.00, 01.10 მხ/ფ "**მანკიერი ვნება**" (ტ. როტი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 17.00 სერ. "**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი 23.00 გააცინე და მოიგე 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ეთნოგრაფია 06.10 ნიამორი 06.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.50 სპექტაკლი - "**შავი ზღვის პირას რაღაც ჩვენთვის უცნობი ქვეყანა**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.20 ლექსით ქებათა ქება 10.40 "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. II 11.00 დოკ/ფ "კადრს მიღმა" 11.15 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**ბატონი ავანტურისტები**" 13.30 ქართული მულტფილმი 13.45 დოკ/ფ "გელინო" II ნაწ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05, 00.30 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.00 კონცერტი - ანს."რუსთავი" 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 მოკლემეტრაჟიანი ფილმი "**შნო**" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი -ოთარ ჭილაძე I ნაწ. (მანანა კვაჭანტირაძე) 23.50 ფოტოგალერეა 01.00 მხ/ფ "**ბაში-აჩუკი**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 7.40 მულტფილმი 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 10.15, 16.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) 17.45, 21.30, 0.30, 4.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.05, 1.30, 5.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) 19.00 **სერიალი "ასი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 6.45 ფარული კამერა

## ოთხშაბათი 2 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 09.10 საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" 10.15 მხ/ფ "**ფიქრები თავისუფლებაზე**" 12.40 მხ/ფ "**უკანასკნელი საზღვარი**" 14.30 ტ.სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 დ/ფ "მარი კიური" 17.55 ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" 19.00 "ჩვენი ეზო" 19.30 დ/ფ 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ 22.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. (პ/რ) შესვენებისას: "მოამბე" ღამის გამოშვება 00.40 მხ/ფ "**პაზარდელი დიუკები**"

08.00, 10.00, 19.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" – "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (სამშ. გ/ჩვ) 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.25, 12.05 სერ. "**ცივი გული**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40, 15.05 ღამის შოუ (29.09.13 გ/ჩ) 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50" 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 13 სერ. 21.50 თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) 00.00, 01.10 მხ/ფ "**ჰორიზონტი**" (ს. ტომპსონი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი (კვ. გ/ჩ) 17.00 სერ. "**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 22.00 "ნანუკას შოუ" - დაწყება 0.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი. 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ "**ბაში-აჩუკი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.15 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკლემეტრაჟიანი ფილმი "**შნო**" 13.20 ქართული მულტფილმი 13.50 დოკ/ფ "ერთი ჭოროხის შვილები" I ნაწ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.50 კონცერტი - ფრიდრიჰ გულდა 17.00 კვირიაკე 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**ძმა**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ცამეტი ასურელი მამის ნამოღვაწარი" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**ჩრდილი გზაზე**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები"(გამ) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 4.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.05, 1.30, 5.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) 19.00 **სერიალი "ასი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) 6.45 ფარული კამერა

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## ხუთშაბათი 3 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 09.10 საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" 10.15 მხ.ფ "**მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ**" 12.40 მხ.ფ "**დომბე და ვაჟი**" 14.30 ტ.სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 დ/ფ "ამერიკის საიდუმლო" 17.55 ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" 19.00 "სამხედრო გადაცემა" 19.20 დ/ფილმი 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ 22.20 "უცნობი მუსიკა" 00.20 ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**პოსეიდონი**" (კ.რასელი)

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "ეპიცენტრი" (სამშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 69-70 სერია 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.25, 12.05 სერ. "**ცივი გული**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40, 15.05 კაცების შოუ (28.09.13 გ/ჩ) 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50, 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 8 სერ. 21.50 ცეკვავენ ვარსკვლავები 00.00, 01.00 მხ/ფ "**რომაული თავგადასავალი**" (ალ. ბოლდუინი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 გააცინე და მოიგე გ/ჩ 17.00 სერ. "**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 22.00 პროფილი 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მხ/ფ "**ჩრდილი გზაზე**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 09.05, 18.05, 21.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ლექსით ქებათა ქება 10.45 დოკ/ფ "ცამეტი ასურელი მამის ნამოღვაწარი" 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**ძმა**" 13.25 ქართული მულტფილმი 13.50 დოკ/ფ "ერთი ჭოროხის შვილები" II ნაწ. 14.45 ფოტოგალერეა 14.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05, 00.30 განთიადის სტუმარი 15.35 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი -გივი მუნჯიშვილის საიუბილეო საღამო 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "ჩაკლული სული" 20.40 ძილი ნებისა 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 მოკ. ფ "**ნისლა**" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "თავშესაფარი" 01.00 მხ/ფ "**მაია წყნეთელი**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** 12.50 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"(გამ) 17.45, 21.30, 0.30, 4.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.05, 1.30, 5.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) 19.00 **სერიალი "ასი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.15 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) 6.45 ფარული კამერა

## პარასკევი 4 ოქტომბერი

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00, 00.00 "მოამბე" 09.10 საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" 10.15 მხ.ფ "**ბუს ძახილი**" 12.40 მხ.ფ "**დომბე და ვაჟი**" 14.30 ტ.სერ. "**ჭორიკანა**" 17.00 დ/ფ "ეგვიპტიდან" 17.55 ტ.სერ. "**ზღვარს მიღმა**" 20.50 პოლიტიკური თოქ-შოუ 22.20 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" 23.15 ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**როკენროლა**" 00.20 ღამის კ. ჩვენება – მხ.ფ "**კიბორჩხალა სადილზე**"

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00 ქრონიკა 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგ.) 10.05 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 11.25, 12.05 სერ. "**ცივი გული**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) (გაგ.) 14.40 იმედის გმირები (29.09.13 გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ" გააჩერე (29.09.13 გ/ჩ) 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50, 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 21.50 თოქ შოუ — ღია ეთერი (პ/ე) 00.00 სერ. "**კამორას კლანი**" მე—7 სერ. 01.10 მხ/ფ "**სულების სახლი**" (ა. ბანდერასი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ცრემლების გვირგვინი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ეკი ვოკი (კვ. გ/ჩ) 17.00 სერ. "**ნამდვილი ბრძნობა**" 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 07.30 მხ/ფ "**მაია წყნეთელი**" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "თავშესაფარი" 11.20 ისტორიის გაკვეთილი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**ჩაკლული სული**" 13.35 დოკუმენტური ფილმი "ლაზეთის ბულბული" 14.45 ფოტოგალერეა 14.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05, 00.30 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 15.55 კონცერტი - აღდგომიდან ამაღლებამდე - მარინე იაშვილი 17.00 კვირიაკე 18.10 "ჩვენი ფონდი" 18.25 დიდ ხარ შენ,უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 მხ/ფ "**არდადეგებზე**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავეებთან 00.50 მხ/ფ "**ვალსი პეჩორაზე**"

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები" 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 4.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 18.05, 1.30, 5.45 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ) 19.00 **სერიალი "ასი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) 6.45 ფარული კამერა

## შაბათი 5 ოქტომბერი

08.00 საბ/ფ. "ავტომრბოლელი" 10.00 "პეპე და მეგობრები" 11.00 საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" 12.00,16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – "ღამის სერენადები – 2013" – ლიანა ისაკაძე 14.00 ფილმი ნოსტალგია: "**ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ**" 16.30 ქართული ტ.ფილმები: 1) "**მაისის თოვლი**" 2) "**ზნიანეთი**" 18.00 "ეტალონი" 18.55 "გურმანია" 19.30 დ/ფ 20.50 "სოციალური თოქ შოუ" 22.20 "წითელი ზონა" 23.20 მხ/ფ "**საშუალოდ გულგრილი**" 01.20 დ/ფ "იმპრესიონისტული სკანდალი"

08.00, 10.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "ეპიცენტრი" (პარ. გ/ჩვ) 12.00 დ/ფ "ჯინსიპლანეტა ლურჯ ფერებში" 13.00 მხ/ფ "**გრიზლის ჩანჩქერი**" (ს.რეფილი) 14.30 მხ/ფ "**მეხისმტყორცნელი და ვინეტუ**" 17.00 მხ/ფ "**დეკემბრის ბიჭები**" (დ.რედკლიფი) 19.00 დ/ფ "კატასტროფა ანდებში" I ნაწ. 20.00 მხ/ფ "**ყოველთვის თქვი დიახ**" (ჯ.ქერი) 22.00 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 2 სერ. 23.00 მხ/ფ "**სისხლიანი ალმასი**" (ლ.დიკაპრიო)

08.00 ან/ფ "ავატარი" 09.00 მხ/ფ "**სავსე მთვარის სამეფო**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" მე—6 სერ. (29.09.13 გ/ჩ) 13.00 სერ. "**ჰანა მონტანა**" 14.30 ახალი ქართული ხმა (01.10.13 გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. "**უდანაშაულო**" 20.55 ფულთან თამაში 22.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" მე—7 სერ. 23.00 კაცების შოუ 00.00 სერ. "**კამორას კლანი**" მე—8 სერ. 01.00 მხ/ფ "**ბრაზის გამართლება**" (ჯ. ალენი)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები. 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 00.00 პოკერი 00.30 მსოფლიო კინოპრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა"07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10 , 18.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქართული მულტფილმი 10.55 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**არდადეგებზე**" 13.30 სათავეებთან 14.05 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - ვერდი "**აიდა**" გია გაგნიძე 18.05 დოკ/ფ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.25 მოკლემეტრაჟიანი ფილმი "**ბურთი და მოედანი**" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ "**ბრწყინვალე ბონება**" I სერია

მაესტრო 7.00, 0.00, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი 9.30, 11.00 **სერიალი "ასი"** (გამ.) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 0.30, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

## კვირა 6 ოქტომბერი

08.00 საბ/ფ. "ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა" 10.00 "ეტალონი" 10.55 საბ. ან/სერ. "კრიპტო სუპერ ძაღლი" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სპექტაკლის დრო" – შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლი: "**სამანიშვილის დედინაცვალი**" 15.00 დ/ფ "რომაული ელეგანტურობა" 16.30 დ/ფ 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: "**სიონი**" – "**ზოლნისი**" (პ/რ) 20.30 "პროფესია რეპორტიორი" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 21.30 მხ/ფ 23.00 მხ/ფ "**სექსი დიდ ქალაქში**"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მომრეალი" ტორონტო" 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.) 10.00 დ/ფ "ცხოველთა სილამაზე" 11.00 მხ/ფ "**ფანტომასი**" (ლ. დე ფიუნესი) 13.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 20.00 მხ/ფ "**სახლი ტბის პირას**" (ს.ბალოკი) 22.00 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 3 სერ. 23.00 მხ/ფ "**ლუდის ფესტივალი**"

08.00 ან/ფ "ავატარი" 09.00 მხ/ფ "**ჯადოქარი ტყუპები**" 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" მე—7 სერ. 13.00 ბგერებს შორის დუმილი 14.30 ქ.მხ/ფ "**ვერის უბნის მელოდიები**" 17.40 იმედის გმირები 18.00 ცეკვავენ ვარსკვლავები (03.10.13 გ/ჩ) 19.05 ცეკვავენ ვარსკვლავები (გაგრძელება) 20.55 ღამის შოუ 22.00 ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" მე—8 სერ. 23.00 რომ გადახვალ" გააჩერე 00.00 სერ. "**კამორას კლანი**" მე—9 სერ. 01.00 მხ/ფ "**შავი ხვრელი**" (დ. სელბი) 02.40 მხ/ფ "**პირდაპირი მოქმედება**" (დ. ლუნდგრენი) (ტიტ.)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.00 მხ/ფ 11.00 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 ქართ. მხ/ფ 14.00 შერეკილები. 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 23.00 კომედი შოუ 00.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.40 საქართველოს ქალაქები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი)) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 00.05 ისტორიის დღიური 10.15, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ "**ლომა,დავიწყებული მეგობარი**" 13.15 ქრისტიანული ხელოვნება 13.55 სათავეებთან 14.20 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.30 დროის ჩანაწერები 19.45 მხ/ფ "**წისქვილი ქალაქის გარეუბანში**" 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.30 მხ/ფ "**ბრწყინვალე ბონება**" II სერია.

მაესტრო 7.00, 0.30, 2.30, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "ასი** 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 18.30, 0.00 "მონიტორი" ჟურნალისტური გამოძიება(გამ) 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00 **სერიალი "სკანდალი"** 1.00, 3.00, 5.30 "კინო მაესტროზე"

# რაშია ანგელა მერკელის პოპულარობის საიდუმლოება?

## გერმანიის საპარლამენტო არჩევნებზე ქრისტიან-დემოკრატებმა გაიმარჯვეს

– საპარლამენტო არჩევნებზე ანგელა მერკელის პარტიამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ეს საუკეთესო შედეგია, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

თანახმად ოფიციალური მონაცემებისა, მერკელის ქრისტიან–დემოკრატიულმა კოალიციამ ხმების 41,5 პროცენტი მიიღო, მეორე ადგილზე გასულმა სოციალ-დემოკრატებმა მხოლოდ 25, 7 პროცენტი, მწვანეთა პარტიამ 8,4 პროცენტი. ამრიგად, ანგელა მერკელი კანცლერის პოსტზე რჩება და ქვეყანას უახლოესი წლების მანძილზე უხელმძღვანელებს.

– ქრისტიან-დემოკრატების გამარჯვება ძირითადად მერკელის პერსონამ განაპირობა, – თვლის ანალიტიკოსი უტა შეფერი.

ანგელა მერკელი (ქალიშვილობის გვარი კასნერი) 1954 წელს ჰამბურგში პასტორის ოჯახში დაიბადა. ანგელას დაბადებიდან ცოტა ხნის შემდეგ ოჯახი რატომღაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გადასახლდა.

– ეს მართლაც საკვირველია, – წერს ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი, – როგორც ცნობილია, ხალხი აღმოსავლეთ გერმანიიდან მასობრივად გარბოდა, ბერლინის კედელიც ამის გამო ააშენეს. ის კითხვა კი, თუ რატომ გადასახლდა მერკელის მამა გდრ-ში, დღემდე პასუხგაუცემელი რჩება.

ანგელამ განათლება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიიღო. როგორც მისი თაობის ახალგაზრდების უმრავლესობა, ისიც თავის დროზე პიონერთა ორგანიზაციის, შემდგომში კი ე.წ. „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდების კავშირის“ (ასე ეწოდებოდა გდრ-ში კომკავშირის ანალოგიურ ორგანიზაციას) წევრი გახდა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე განაგრძო, სადაც შეხვდა თავის პირველ ქმარს ულრიჰ მერკელს. მათ ჯვარი ეკლესიაში დაიწერეს, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ ერთმანეთს დაშორდნენ.

– ამაში ძირითადად საკუთარ თავს ვადანაშაულებ. ქორწინებას ჯეროვანი სერიოზულობით არ მოვეკიდე, – ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში მერკელი.

შემდგომში ანგელა ქიმიკოს ზაუერზე გათხოვდა, თუმცა პირველი ქმრის გვარი შეინარჩუნა. შვილები არც პირველი, არც მეორე ქორწინებიდან არა ჰყავს.



– ალბათ ამიტომაა, რომ პოლიტიკურ მოღვაწეობაში მთელი არსებით გადაეშვა, – წერს ვიტალი პორტნიკოვი.

თავის ერთ-ერთ ინტერვიუში მერკელი ამბობს, რომ გდრ-ში არსებული მმართველი რეჟიმის მიმართ მუდამ ოპოზიციურად იყო განწყობილი. მართლაც, ის მეგობრობდა დისიდენტებთან. მისი ახლო მეგობარი გახლდათ მწერალი–დისიდენტი რაინჰარდ კუნცე. მიუხედავად ამისა, დისიდენტურ მოძრაობაში მერკელი არ ჩაბმულა. მან დაამთავრა უნივერსიტეტი, მუშაობდა ფიზიკური ქიმიის ცენტრალურ ინსტიტუტში. კომპარტიის რიგებში არ შესულა, მაგრამ გახლდათ „თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდების კავშირის“ მდივანი პროპაგანდის საკითხში. შემდგომში (როცა უკვე გერმანიის კანცლერი იყო) ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჰკითხა, თქვენ გდრ-შიც აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდით, ხომ ასეაო. მერკელმა მიუგო:

– ეს პოლიტიკა არ გახლდათ. ჩემს საქმიანობას უფრო კულტურულ–საგანმანათლებლოს ვუწოდებდი!

პოლიტიკური კარიერა მერკელმა გაერთიანებულ გერმანიაში გაიკეთა. ბევრს აოცებდა, რომ გდრ-ში აღზრდილი ქალი ქრისტიან-დემოკრატების რიგებში შევიდა, თუმცა მერკელმა ყველა პროგნოზი გააბათილა და უმაღლეს შედეგს მიაღწია:

– ანგელა მერკელმა ქრისტიან-დემოკრატებს ახალი სიცოცხლე შთაბერა, – თვლის ბი-ბი–სი.

მერკელი არ გამოირჩევა ქარიზმით. როგორც ორატორიც საშუალოზე ოდნავ მაღალი დონისაა. მიუხედავად ამისა, ამომრჩეველმა ის შეიყვარა. მიმომხილველების აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ მასში წმინდა გერმანული ხასიათი დაინახეს. მერკელი პუნქტუალური და პრაგმატულია, ლაპარაკობს უბრალოდ, ლაკონურად, იცვამს უბრალოდ. ფულის მიმართ გულგრილია. სძულს კორუფცია. მისი სახელი არც ერთ კორუფციულ სკანდალში არ ფიგურირებს. ამომრჩევლებს განსაკუთრებით ის მოსწონთ, რომ მას არ უყვარს ფუფუნება. თავის მეორე ქმართან ერთად კერძო სახლში ცხოვრობს, რომელიც კანცლერად არჩევამდე იყიდა. სახლი კეთილმოწყობილი, მაგრამ უბრალოა.

– გერმანელებმაც მერკელში თავისიანი დაინახეს, – თვლის უტა შეფერი, – ეს არის პირველი მიზეზი მისი პოპულარობის.

მერკელი იდეოლოგიური დოგმატიზმიდან შორსაა. მართალია ის მემარჯვენე პარტიის ლიდერია, მაგრამ მისი პოლიტიკა უფრო სოციალ-დემოკრატებთან და მწვანეებთან იდგა ახლოს. სოციალური სამართლიანობა, გარემოს დაცვა – ეს ყველაფერი მისი ოპონენტების ლოზუნგები იყო, თუმცა მერკელმა ისინი მარჯვედ აიტაცა და ცხოვრებაში განახორციელა.

– ამით მან თავის ოპონენტებს კოზირი გამოაცალა, – თვლის უტა შეფერი, – რამაც მისი პოპულარობის ზრდას ხელი შეუწყო

მესამე მიზეზი ისაა, რომ მერკელის პოლიტიკა ქვეყანაზე კეთილისმყოფელად აისახა. ევროპაში ყველაზე დაბალი უმუშევრობის დონე გერმანიაშია. ამ ქვეყანას ასევე ყველაზე მცირე საგარეო ვალი გააჩნია. მერკელმა ეფექტური საშინაო და საგარეო კურსი შეიმუშავა. შედეგად გერმანიის პრესტიჟი მსოფლიოში გაიზარდა, ხოლო კრიზისი, რომელმაც ევროპა მოიცვა, გერმანიაზე ნაკლებად აისახა:

– ამომრჩეველმაც მხარი მერკელს დაუჭირა, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ამრიგად, საპარლამენტო არჩევნები გერმანიაში უკან დარჩა. ახლა აქტუალურია მეორე საკითხი, როგორი იქნება ახალი მთავრობა? ექსპერტები და ჟურნალისტები რამდენიმე ვარიანტს განიხილავენ. ყველა აღნიშნავს, რომ მერკელს დიდ პრობლემას უქმნის თავისი უმთავრესი პარტნიორის „თავისუფალი პარტიის“ კრახი. შესაბამისად მას მოუწევს ან მწვანეებთან, ან სოციალ-დემოკრატებთან კოალიცია.

– მწვანეებთან ალიანსი ნაკლებ მოსალოდნელია, რადგანაც ორივე პარტიის პროგრამები ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავდებიან. ამას გარდა, ასეთი ალიანსის შექმნა არც ამომრჩევლებს არ სურთ, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

სოციალ-დემოკრატებთან ალიანსს ბევრი უფრო რეალურად მიიჩნევს, თუმცა აქაც ბევრი პრობლემაა. მართალია ორივე პარტიის პროგრამები ერთმანეთთან ახლოს დგას, მაგრამ სოციალ-დემოკრატების ამბიციები უდიდესია. ისინი მერკელს საკმაოდ სერიოზულ დათმობებს სთხოვენ. გამარჯვებული პარტიის ლიდერისათვის ამაზე წასვლა არცთუ ადვილია.

– მიუხედავად ამისა, ასეთი კოალიცია, სავარაუდოდ, შეიქმნება, თუმცა მერკელს ქვეყნის მართვაში ეს არ დაეხმარება, – თვლის უტა შეფერი.

არანაკლებ აქტუალური რჩება კითხვა: შეიცვლება თუ არა მერკელის პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოური სივრცის მიმართ? თავად კანცლერი აცხადებს, რომ ამ მიმართულებით ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. მართლაც, მერკელი საკმაოდ ფრთხილია ევროკავშირში ისეთი ქვეყნების ინტეგრაციის პერსპექტივის მიმართ, როგორიცაა უკრაინა. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში კანცლერმა განაცხადა:

– უკრაინა ევროკავშირში ინტეგრაციისათვის მზად არ არის. საქმე მხოლოდ ექსპრემიერ ტიმოშენკოში როდია. კორუფციის მაღალი დონე, შერჩევითი მართლმსაჯულება, ყოველივე ეს უკრაინას ევროპისაგან ძალზე აშორებს.

რუსეთში იმპერიული ტენდენციების ზრდის შემდეგ მერკელმა პოზიცია შეიცვალა. კანცლერი განსაკუთრებით ნეგატიურად შეხვდა ვლადიმერ პუტინის მიერ ე.წ. „ევრაზიული კავშირის“ შეკოწიწების მცდელობას. მერკელიც პოლონეთის პრეზიდენტის სიტყვებს დაეთანხმა: უკრაინას ძალზე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია და მისი დაკარგვა დაუშვებელია. თუმცა ამას თავისი კომენტარი დაურთო: – სამწუხაროდ, პოლონეთის პრეზიდენტი მართალია.

ბევრი ჟურნალისტი თვლის, რომ მერკელს შეუძლია უკრაინის ევრო-ინტეგრაცია დააბრკოლოს. თავად კანცლერი ამას უარყოფს:

– უკანასკნელ ხანს უკრაინაში ბევრი რამ გაკეთდა, ქვეყანაც ევროპულ სტანდარტებს მიუახლოვდა. ჩემი აზრით, ეს უნდა წავახალისოთ და ასოცირების თაობაზე ხელშეკრულებას ხელი მოვაწეროთ, – განაცხადა თავის ერთ–ერთ ინტერვიუში მერკელმა.

კანცლერის ასეთმა განცხადებამ ვლადიმერ პუტინის გაღიზიანება გამოიწვია. სავარაუდოდ, არჩევნების შემდეგ მერკელი თავისი თავის ერთგული დარჩება. ის კვლავ პრაგმატული და არა იდეოლოგიური იქნება და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან ურთიერთობის დროსაც ამით იხელმძღვანელებს.

– მერკელი დღეისათვის კანცლერის პოსტზე საუკეთესო კანდიდატურაა, – მიიჩნევს უტა შეფერი.

ჯერჯერობით მერკელმა ამომრჩევლის ნდობა გაამართლა. მომავალი გვიჩვენებს თუ რამდენად შესძლებს ამას შემდგომში.

**ნიკა თევზაძე**

# სამგლოვიარო განცხადებები

### ნელი სამხარაძის გახსენება



29 სექტემბერი შენი დაბადების დღეა. ვიხსენებთ, როცა ჩვენს საკუთარ სახლში შენს მეგობრებთან ერთად აღვნიშნავდით ამ დღეს. უფალმა მადლის კეთებისა და დიდი სიყვარულის თესვა უხვად დაგაფრქვია, მისაბაძი მეგობარი და კეთილი პიროვნება იყავი.

შენ ერთადერთი შვილის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ დასაფლავების დროს რამაზს შეჰფიცე, რომ მასთან მალე მიხვიდოდი. ასეც „მოიქეცი“, შეწყვიტე საკვების მიღება. ვაი, რომ ყველა უძლური აღმოჩნდა მოურჩენელ სენთან. სულ მალე, 2002 წლის ივნისში რამაზისათვის მიცემული ფიცი შეასრულე. დღეს ორივე გვერდიგვერდ განისვენებთ.

გვენატრები, ძნელია უშენობა. სანამ პირში სული მიდგას, ყოველთვის მოგიგონებთ – ეკლესიაში დავდივარ, სანთელს გინთებთ. ძნელია უშენობა და მარტოობა. ნათელში გამყოფოს უფალმა!

**მეუღლე კუკური სამხარაძე**

### მიხეილ აბესაძე



უკვე ორმოცი დღე გავიდა ჩვენი შესანიშნავი მეგობრის, პიროვნების, საქართველოს დამსახურებული ექიმის, უმაღლესი რანგის ორთოპედ-ტრავმატოლოგის, სამამულო ომის მონაწილისა და არაერთი მედლისა და ორდენის მფლობელის მიხეილ აბესაძის გარდაცვალებიდან.

იგი ქუთაისში დაიბადა, ყრმობა ბათუმში, ხოლო სტუდენტობა თბილისში გაატარა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1940 წელს სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და აქტიურად ჩაება სამამულო ომის ქარცეცხლში, საიდანაც მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა.

მიხეილ აბესაძე ათწლეულების მანძილზე მოღვაწეობდა ჯანდაცვის სფეროში – რუსთავში და თბილისის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამედიცინო კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, განყოფილების გამგედ, მთავარ ექიმად.

პენსიაზე გასვლის შემდეგ აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ საქმიანობაში და ვეტერანთა მოძრაობაში. იყო უაღრესად ავტორიტეტული პიროვნება, ქვეყნის პატრიოტი და ღირსეული მოქალაქე და სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა ყველასთან, ვინც მას იცნობდა.

მიხეილ აბესაძის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებსა და მეხსიერებაში.

**მეგობრები**



თანაკლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

### ვიტალი ვეკუას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



***შვეულად:*** 1. ქვეითი ჯარის ძველებური სახელწოდება; 2. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 3. პატიმრის მკაცრად დასჯისთვის განკუთვნილი ცალკე საკანი; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ყბაში დარტყმა კრივში; 6. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 7. გია დანელიას კინოკომედია; 9. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 13. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 17. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 18. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი.

***თარაზულად:*** 1. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 8. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 10. ტვინის შერყევა; 11. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 12. ძველებური ერთშუშიანი სათვალე; 14. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული ნიანგი; 16. ქიმიური ელემენტი, რბილი მოვერცხლისფერო ლითონი; 19. შეწეული სტრიქონი ტექსტში; 20. ესპანელი საოპერო მომღერალი ქალი; 21. ქართული სამშენებლო კომპანია.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. შოვი; 2. ოდა; 3. ჩოჩიშვილი; 4. აჯიკა; 5. ჰორაციო; 8. კალა; 9. იაგუნდი; 10. ბაიადერა; 12. მინსკი; 13. გრაფი; 15. იჯარა.

**თარაზულად**: 1. შავლეგო; 2. სოლფეჯიო; 7. ვეკუა; 10. ბრიჯი; 11. ელესა; 13. გაუდა; 14. ელისო; 16. სოდა; 17. იადგარი; 18. არმანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ამსტერდამი; 2. ლიძავა; 3. ჭაშნიკი; 4. ტურნე; 5. ხელბურთი; 6. ჩხუტი; 7. ჩარგალი; 9. ნატალი; 13. ბაღჩა; 17. ევრო; 18. გზა.

**თარაზულად**: 1. ამსტელი; 3. ჭყურტი; 8. ფეიხოა; 10. მაზანდა; 11. სენტო; 12. კეტჩუპი; 14. იდალგო; 15. პაიჭაძე; 16. თქეში; 19. ბაჩანა; 20. ჭიამაია; 21. კრეოლი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**28 სექტემბერი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6679 | ევრო — 2,252 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6658 | რუსული რუბლი — 0,0522 |

## ამინდის პროგნოზი 28 სექტემბრისთვის





## 1 ოქტომბრიდან!
## „ახალ თაობასთან“




ერთად

საქართველოს ისტორია

მთელი ქვეყნის ისტორია ერთ წიგნში



## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები





მალე! მალე! მალე! მალე!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ტომი 4

ფრანგული ზღაპრები

მათთვის, ვინც ვერ მოახერხა წინა სამი ტომის შეძენა




20 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 1 ამერიკული ზღაპრები




24 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 2 ჩეხური ზღაპრები




27 სექტემბრიდან გაიყიდება ტომი 3 ბრაზილიური ზღაპრები


## ხელბურთელებს მსოფლიო თბილისში სურთ

საქართველოს ხელბურთის ფედერაციას 2017 წლის ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩვენს ქვეყანაში ჩატარება სურს.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია მასპინძლის ვინაობას 2013 წლის წლის 27 ოქტომბერს, დოჰაში (ყატარი), 34-ე კონგრესზე გამოარკვევს. განაცხადი ორ ქვეყანას აქვს წარდგენილი – საქართველოსა და ხორვატიას.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის განაცხადში 24-გუნდიანი ტურნირის მასპინძლობისთვის 4 ქალაქია შერჩეული – თბილისი, თელავი, ქუთაისი და ბათუმი. ამ რანგის ტურნირი დამოუკიდებელ საქართველოში სპორტის არც ერთ სახეობაში არ გამართულა. ტურნირში ითამაშებენ 1998-99 წლებში დაბადებული ჭაბუკები. ამ ასაკის ხელბურთელები თბილისის 2015 წლის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზეც იასპარეზებენ. ქართველ ხელბურთელებს უკვე დაწყებული აქვთ ინტენსიური მზადება ამ ტურნირისთვის წინასწარ დასახული პროგრამით. ცხრამეტწლამდელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატი 2005 წლიდან იმართება ყოველ კენტ წელს. აქამდე ტურნირები ჩატარდა ყატარში, ბაჰრეინში, ტუნისში, არგენტინასა და უნგრეთში. მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ: სერბეთი/მონტენეგრო (2005), დანია (2007, 11, 13), ხორვატია (2009).



## ასტროპროგნოზი



ყველამ გაითვალისწინეთ!

### 28 სექტემბერი – საქმე სხვას არ გადააბაროთ!

**ვერძი** – არ გაექცეთ პასუხისმგებლობას, კარგად იმუშავეთ. **კურო** – ფული გაქვთ, მაგრამ მთლიანად ნუ დახარჯავთ. **ტყუპები** – საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოთ. **კირჩხიბი** – სახლში სიხარული გელით, საღამო მშვენიერი იქნება. **ლომი** – მიღებული ინფორმაცია ჯერ კარგად გადაამოწმეთ და ისე იმოქმედეთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის რაღაც ჩამოაქვს. **ღრიანკალი** – პრობლემა გაქვთ, მაგრამ მალე მოაგვარებთ. **მშვილდოსანი** – თქვენი საქმე აკეთეთ და ბოლომდე თქვენვე მიიყვანეთ. **თხის რქა** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, გადაღლილი ხართ. **მერწყული** – თავზე მუშაობა გარგებთ, თქვენი ოპონენტესბი გააქტიურებულები არიან. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

### 29 სექტემბერი – წარმატებული დღეა

**ვერძი** – ეს დღე კარგად წარიმართება. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** – ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ლომი** – ნურავის ენდობით, საკუთარი თავის გარდა. **ქალწული** – ფული გაქვთ, მაგრამ ცოტა ხვალისთვის შემოინახეთ. **სასწორი** – მოვლენ და ბოდიშს მოგიხდიან, უნდა აპატიოთ. **ღრიანკალი** – ფინანსური მდგომარეობა გამოგისწორდებათ. **მშვილდოსანი** – იმოძრავეთ, არ მოდუნდეთ. **თხის რქა** – დღეს დიდი სიხარული გელით, ამდენს არ ელოდით. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ყველაფერს აწესრიგეთ. **თევზები** – ფული გაქვთ, კიდევ იშოვით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## „სექსტრემისტებმა“ პარიზის მოდის კვირეულზე სკანდალი მოაწყვეს

ქალთა მოძრაობა „ფემენის“ აქტივისტებმა მორიგი რეზონანსული ტოპლეს-აქცია გამართეს: ამჯერად ისინი პარიზის მოდის კვირეულზე, ნინა რიჩის მოდის სახლის ახალი კოლექციის ჩვენების ჩაშლას შეეცადნენ, ინფორმაციას „ნიუსრუ“ ავრცელებს.

სიახლეების დემონსტრირებისას, ნახევრად შიშველი „სექსტრემისტები“ პოდიუმზე შეიჭრნენ წარწერებით: „მოდელო, ნუ მიდიხარ ბორდელში“, „მოდა – დიქტატერორი“, თან ამ ლოზუნგებს ბოლო ხმაზე გაჰყვიროდნენ. შედეგად, ფემინისტები დაცვის თანამშრომლებმა შებოჭეს და არცთუ ალერსიანად სცენიდან გაიყვანეს.



„ფემენი ცოცხალი საქონლის წარმოებისა და მისი სექსინდუსტრიის ბაზარზე მიწოდების წინააღმდეგ გამოდის და ხაზს უსვამს ფეშენ-დიქტატურის დამხობის აუცილებლობას, რომელიც სექს-ინდუსტრიის ერთ-ერთი მთავარი ფორპოსტია, – ასეა განმარტებული აქციის მიზანი მოძრაობის ვებ-გვერდზე.

აქციაში მონაწილეობდა ორი უკრაინელი – იანა ჟდანოვა და ალექსანდრა შევჩენკო, რომლებიც ერთი თვის წინ, ფალსიფიცირებული ბრალდების გამო უკრაინიდან გაიქცნენ, – დაზუსტებულია პრეს-რელიზში.

სკანდალური მოძრაობის აქტივისტები პირველად არ ცდილობენ მსგავსი ღონისძიების ჩაშლას. ცოტა ხნის წინ „სექსტრემისტებმა“ შეძლეს ტელეშოუ „გერმანიის მომავალი ტოპმოდელის ჩაშლა, რომელიც ასე დაახასიათეს: „ეს პროგრამა სუტენიორ-შოუს ფორმატია, სადაც საქვეყნოდ ცნობილი სუპერმოდელი ჰაიდი კლუმი „მამაშას“’ როლს ასრულებს და არასრულწლოვანი გოგონების ჯოგიდან, უკანასკნელ ფეშენ-სულელებს აყალიბებს“.

რამდენიმე დღით ადრე, ალექსანდრა შევჩენკომ „ნიუსრუ ისრაელთან“ საუბრისას „ფემენის“ სამი მთავარი მტერი დაასახელა:

„დიქტატურა – ქალის პოლიტიკური ჩაგვრაა, რელიგია – სულიერი, სექს-ინდუსტრია – ქალის, მისი სხეულის, სექსუალობის კომერციული ჩაგვრაა“.

მოდის და სილამაზის კონკურსების ინდუსტრიას, ამ მოძრაობის იდეოლოგები პროსტიტუციას უტოლებენ. ამას გარდა, ისინი თვლიან, რომ სამოდელო ბიზნესი გოგონებს ათაყვანებს და ყალბი იდეალებისკენ სწრაფვას აიძულებს, აღნიშნავს გამოცემა.

## ანდრეს კარასკო: ჯერჯერობით, ადაპტაციის პერიოდი მაქვს

ანდრეს კარასკო უკვე რამდენიმე თვეა საქართველოშია და საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს“ აკადემიის დირექტორია. თავად „საბურთალო“ კი, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სკოლაა და ჩვენი ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებებში ფეხბურთელთა დიდი ნაწილი სწორედ ამ სკოლიდან არის წარმოდგენილი. მეტიც, კლუბმა გადაწყვიტა მონაწილეობა პირველ ლიგაში მიეღო და სეზონი არცთუ ურიგოდ დაიწყო – 4 ტურში 3 მოგება და 1 მარცხი.

**ანდრეს კარასკო:**

– „საბურთალოს“ 4 აგვისტოდან ჩავუდექი სათავეში და შესანიშნავი შთაბეჭდილებები დამიტოვა. „საბურთალო“ იმაზე დიდი

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## ლუკას!



„იჩე“ ანა, „აჩე“ ბაბუ, „დოჩა ჩოთი და ჩაბანი“,
დალოცვილი შენი ენა, ოქროს ფონდში შესატანი.
ლურსმანაშვილების დიდი და ლამაზი ოჯახის პატარა წარმომადგენელს,
ყველასათვის საყვარელ ლუკას ვულოცავთ დაბადების დღეს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და დიდხანს სიცოცხლეს. გფარავდეს უფალი!

*ნოდარი ბაბუ*

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სპორტული რადიო საქართველოში; 2. თავისუფალი ფორმის პატარა ლიტერატურული ნაწარმოები; 3. ნიდერლანდების დედოფალი; 4. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 9. პატიმრობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; 10. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 12. დარიშხანის საბადო რაჭაში; 13. ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა თბილისში; 15. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი.

**თარაზულად:** 1. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 6. სატრფოს ფანჯრის წინ შესრულებული სიმღერა იტალიასა და ესპანეთში ძველად; 7. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 10. ბალჩეული მცენარე; 11. ღვინის პატივსაცემი საახალწლო რიტუალი ძველად საქართველოში; 13. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. მდინარე პალესტინაში; 18. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი